ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გვანცა დეკანოიძე

ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებში

სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თამარ მახარაძე
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

აბსტრაქტი

ნაშრომი „ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებში“ მოიცავს მოზარდების დელიქვენტური ქცევის ანალიზს. დღესდღეობით, მოზარდთა მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები საკმაოდ აქტუალური საკითხია. ამას ადასტურებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დანაშაულის სტატისტიკა, რომელიც მოწმობს, რომ მოზარდთა მიერ განხორციელებული დელიქვენტური ქცევა კომპლექსური საკითხია და კვლევას საჭიროებს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების სისტემაში მოხვედრამდე, მოზარდთა კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ანალიზი ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით. დაიგეგმა ამოცანები მიზნის მისაღწევად, კერძოდ კი, გაანალიზდა განვითარების ძირითადი მახასიათებლები მოზარდებთან; განისაზღვრა ფსიქიკური ჯანმრთელობის როლი მოზარდთა ქცევაში; გაანალიზდა რამდენად განსაზღვრავდა კარგი ფსიქიკური ჯანმრთელობა მოზარდთა ქცევას; გაანალიზდა, ასევე, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა კეთლდღეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე. ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა თვისებრივი სახის კვლევა, გამოყენებული იქნა სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკა. ინტერვიუები ჩატარდა წინასწარ შემუშავებული გზამკვლევით. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა პრობაციის ეროვნული ბიუროს განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდები, ასევე მოზარდები, რომელნიც არ ყოფილან კანონთან კონფლიქტში და სფეროს ექსპერტები.

კვლევის ძირითად მიგნებები შემდეგია: სფეროს ექსპერტები აცხადებენ, რომ მოზარდობის ეტაპის თავისებურებებს დიდი გავლენა აქვთ ქცევაზე და ძირითად ფაქტორად ასახელებენ სირთულეებს იდენტობის ჩამოყალიბებაში, თანატოლთა ზეგავლენას, ოჯახთან ურთიერთობებს. ექსპერტები, აგრეთვე, გამოყოფენ ფსიქიკური ჯანმრთელობის როლს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაში და აცხადებენ, რომ მოზარდთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობა პირდაპირ აისახება მათ მიერ განხორციელებულ ქცევაზე. სფეროს ექსპერტები, ასევე, თანხმდებიან ნივთიერებების მოხმარების გავლენაზე და აღნიშნავენ,

რომ, ეს უკანასკნელი შესაძლოა გახდეს დანაშაულის ჩადენის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მკვეთრი განსხვავება კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების ინტერვიუს შედეგებში და იმ მოზარდების, რომელნიც არ იმყოფებოდნენ კანონთან კონფლიქტში. განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებს არ გააჩნიათ ინტერესი/ჰობი რაიმესადმი, რითაც ისინი თავისუფალ დროს სწორად დაგეგმავდნენ, ასევე ხუთივე მოზარდს ჰქონდა აკადემიური სირთულეები. რაც შეეხება მოზარდებს, რომლების არ იმყოფებოდნენ კანონთან კონფლიქტში, იქიდან გამომდინარე, რომ ინტერესი გააჩნდათ თუნდაც ერთი რამისადმი, ისინი პროდუქტიულად გეგმავდნენ თავისუფალ დროს, რაც მათ განვითარებაზეც აისახებოდა. ხუთივე მოზარდს ჰქონდა დამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრება.

კვლევის შედეგების ანალიზის დამუშავების საფუძველზე დაიწერა დასკვნა და აღინიშნა რეკომენდაციები.

Abstract

The work "Mental health and well-being in juvenile delinquents" includes an analysis of the delinquents behavior of adolescents. Noweadays, illegal actions commited by adolescents are quite an important issue. The crime statistics published by the National Statistics office of Georgia, comfirms this importance. The statistics show that the delinquent behavior performed by teenagers is a complex issue that needs to be researched.

Qualitative research was conducted with the method of in-depth interview. Interviews were conducted by the guide made in advance. The purpose of the research was to analyze the welfare and mental health of adolescents before getting to penitentiary system according to the child and youth wel-being index analys. To achieve the purpose of this research, the objectives were planned, such as, the debelopmental characteristics of adolescents, the role of mental health in the adolescents' behavior, determination of the mental health of adolescents was analyzed also well-being of edolescents was analyzed before entering the penitentiary establishment.

The research was held with adolescents, involved in the debate-mediation program, adolescents who were not in conflict with the law and five experts.

The main findings of this research are: experts in the field say that developmental characteristics of the adolescent stage have a big impact on behavior and for this the main factor appear to include a plethora of social issues, such as: difficulty of identity, peer pressure & family relationships. Experts also emphasize the role of mental health and assume that the psychological well-being of adolescents directly affects their behavior. The experts in the field also agree on the consumption of different illegal substances plays an important role and note that it could be one of the most important factors in determining the likelihood of adolescent crime.

The researvh revealed a distinction between the interviews of juvenile delinquents and adolescents who are not in conflict with the law. The difference is: adolescents with delinquent behavior do not have any interest/hobbies, wich they plan to do in their spare time, and all five respondents had academic difficulties. As for adolescents who were not in conflict with the law, because they

had shown interest in at least one occupation, they were productively planning their free time, wich significantly reflects on their development in positive manner.

Based on the analysis of the research results, the conclusion was drawn up and recommendations were noted.

შინაარსი

შესავალი 7

ლიტერატურის მიმოხილვა 10

თავი 1. მოზარდობა და დელიქვენტური ქცევა 10

თავი 2. ფსიქიკური ჯანმრთელობა 16

2.1 რა არის ფსიქიკური ჯანმრთელობა? 16

2.2 ფსიქიკური ჯანმრთელობა და კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები 18

თავი 3. ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის ანალიზი 21

თავი 4. კვლევის დიზაინი 25

თავი 5. კვლევის შედეგების ანალიზი 27

დასკვნა/რეკომენდაციები 39

გამოყენებული ლიტერატურა 42

დანართი #1 ინტერვიუს გზამკვლევი მოზარდთათვის: 45

დანართი #2 ინტერვიუს გზამკვლევი ექსპერტთათვის: 46

დანართი #3 არასრულწლოვან დამნაშავეთა რაოდენობა 48

დანართი #4 არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა 48

დანართი #5 WHO-5 კითხვარი 49

დანართი#6 50

შესავალი

მოზარდობა ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც პიროვნებაში არაერთი ცვლილება ხდება, იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ კოგნიტური. მოზარდობის პერიოდი არის პიროვნების ჩამოყალიბების ყველაზე დინამიკური ეტაპი, როდესაც უნდა დაიძლიოს ღირებულებითი ორიენტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016). მოზარდობის ხანაში გარდამტეხი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ოჯახს, თანატოლთა ჯგუფს და, ზოგადად, სოციუმს. ის ფაქტორი, თუ როგორ წრეში იზრდება მოზარდი პირდაპირ აისახება მის ქცევაზე (Ashford & Lecroy, 2008).

კანონსაწინააღმდეგო, დელიქვენტურ ქცევას არაერთი მიზეზი განაპირობებს, მაგრამ მთავარი მიზეზები მოზარდის განვითარების ეტაპებში უნდა ვეძიოთ. კეროდ, პირველ რიგში საგულისხმოა მოზარდის პიროვნული განვითარების თავისებურებები, რომელთა შორისაც დიდი ადგილი უჭირავს იდენტობის ჩამოყალიბებას (Erikson, 1968). იდენტობა მოზარდობის პერიოდში ყალიბდება ექსპერიმენტებისა და გამოცდილების საფუძველზე, ხოლო როდესაც სახეზეა იდენტობის კრიზისი, შესაძლოა განხორციელდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაც (Ashford & Lecroy, 2008).

დიდი როლი ეკისრება ოჯახს, რომელიც ფატობრივად მოზარდის დელიქვენტური ქცევისგან დამცავ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს (Save the Children, 2004). მოზარდები, რომლებიც იზრდებიან არასრულფასოვან ოჯახებში, სტრესულ გარემოში და არ კმაყოფილდება მათი საჭირობები, უფრო მეტად არიან კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების რისკის ქვეშ (Ottolini, 2016). მოზარდის მიერ ოჯახში განცდილი ძალადობა, აგრეთვე გვევლინება კანონსაწინააღმდეგო ქმედების ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად (Ottolini, 2016).

ეკონომიკური მდგომარეობა და სიღარიბე განხილულია დელიქვენტური ქცევის ერთ-ერთ რისკ ფაქტორად (Save the Children, 2004). სწორედ ამის მიზეზია, რომ მოზარდთა მიერ

ჩადენილი დანაშაულებიდან დიდი წილი ქურდობაზე მოდის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019).

მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, დღესდღეობით კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოზარდები ჩადიან მკვლელობას, ქურდობას, ძარცვას და ამით ფაქტობრივად ქმედების ჩადენისთანავე იღუპავენ მომავალს (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016). როდესაც ვადარებთ ასაკობრივ ჯგუფებს, მოზარდები ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან, დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ დაკავებები განხორციელებულია უფრო ხშირად მოზარდობის წლებში, ვიდრე სხვა დროს (Bureau of Crime Statistics and Research, 2019). კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების საკითხი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენის გაზრდილი მაჩვენებელი (United Nations Office on Drugs and Crime, 2007). არაერთი ქვეყნის მონაცემი ცხადყოფს, რომ დელიქვენტობა საკმაოდ ფართო ჯგუფის პრობლემაა, ასევე საგულისხმოა, რომ დანაშაულთა 2/3-დან 3/4-მდე ჩადენილია ბანდის წევრ მოზარდთა მიერ, ხოლო მოზარდი, რომელიც მარტო ჩადის დანაშაულს რაღაც ნიშნით მაინცაა დაკავშირებული კრიმინალურ ჯგუფთან (United Nations Office on Drugs and Crime, 2007).

კრიმინალური სტატისტიკისა და კვლევების ბიუროს მონაცემებით, 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის დეკემბრამდე ზოგადად ჩადენილი დანაშაულის სტაბილური მაჩვენებელი აღინიშნებოდა, ხოლო მათ შორის მოზარდთა მიერ ჩადენილიდანაშაულის რაოდენობამ 7.6 პროცენტით იკლო (Bureau of Crime Statistics and Research, 2019). მიუხედავად ამ მონაცემებისა, მოზარდთა მიერ დელიქვენტური ქცევის განხორციელება კვლევ რჩება საერთაშორისო პრობლემად.

საქართველოში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა შემდეგია: 2006 წელს საერთო რაოდენობა იყო 1002 მოზარდი, 2007 წელს - 1060, 2008 წელს - 1166, 2009 წელს - 803, 2010 წელს 883, 2011 წელს - 669, 2012 წელს - 475, 2013 წელს - 456, 2014 წელს კი 381 (იხ.დანართი 3) (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016). აღნიშნული ცხადყოფს, რომ

არასრულწლოვან დამნაშავეთა რიცხვი საკმაოდ მაღალია. დანაშაულებში რიცხვობრივად ყველაზე დიდი რაოდენობა ქურდობაზე მოდის, შემდგომ არის ყაჩაღობა, ძარცვა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, თაღლითობა, გაუპატიურება, მკვლელობა (იხ. დანართი 4) (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დანაშაულის სტატისტიკის მიხედვით, 2013 წელს აღნიშნული იყო არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი 883 შემთხვევა, 2014 წელს - 372, 2015 წელს - 384, 2016 წელს - 482, 2017 წელს - 398 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019). უახლესი მონაცემებით, საქართველოში 2018 წელს დაფიქსირდა არასრულწლოვნების მიერ განხორციელებული 411 მართლსაწინააღმდეგო ქმედება, 2019 წლის იანვარი-მაისის პერიოდში კი - 163 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019). თუ შევადარებთ ადრეულ მონაცემებს, საგულისხმოა, რომ მოზარდთა მიერ ჩადენილმა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებმა მნიშვნელოვნად იკლო, რაც შესაძლოა მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად მივიჩნიოთ. თუმცა უდავოა, რომ აღნიშნულისაკითხი კვლავ აქტუალური და კომპლექსურია.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა მოიცავს ზემოთხსენებულ საკითხებს და იკვლევს მოზარდთა დელიქვენტურ ქცევას საქართველოს ჭრილში. კვლევის მიზანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე, მოზარდთა კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ანალიზი ბავშვთა განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით (Land, 2010). კვლევის მიზნის მისაღწევად დაისვა შემდეგი ამოცანები: გაანალიზდა განვითარების ძირითადი მახასიათებლები მოზარდებთან; განისაზღვრა ფსიქიკური ჯანმრთელობის როლი მოზარდთა ქცევაში; გაანალიზდა, იყო თუ არა კარგი ფსიქიკური ჯანმრთელობა მოზარდთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორი და, ასევე, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა კეთილდღეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე, ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით.

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. მოზარდობა და დელიქვენტური ქცევა

მოზარდობა - ესაა ზრდისა და განვითარების გარდამავალი ფაზა ბავშვობიდან ზრდასრულობამდე. მოზარდობის ეტაპი არის იმ ბიოლოგიური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ცვლილებების ერთობლიობა, რომელსაც მოზარდი აწყდება განვითარების მიმდინარეობისას (Ashford & Lecroy, 2008). ეს არის პიროვნების ჩამოყალიბების ასაკი, როდესაც უნდა დაიძლიოს ღირებულებითი ორიენტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016).ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებით, მოზარდობა მოიცავს პერიოდს 10-11 წლიდან 16-19 წლამდე (Csikszentmihalyi, 2018). კაპლანი მოზარდობას განიხილავს 10-12 წლიდან 21-22 წლამდე და ჰყოფს მას სამ პერიოდად: ადრეული, შუა და გვიანი მოზარდობა (Ashford & Lecroy, 2008). თავის მხრივ, აღნიშნული სამი პერიოდი გამოირჩევა განსხვავებული მახასიათებლებით. მაგალითად, არდეული მოზარდობისთვის დამახასიათებელია თანატოლთა გავლენა. შუა მოზარდობის ხანა განიხილება 15-დან 17 წლამდე. ეს პერიოდი წარმოადგენს მოზარდის თვითდამკვირდების პერიოდს. გვიანი მოზარდობა კი 18 წლიდან იწყება და გრძელდება, დაახლოებით 22 წლამდე. გვიანი მოზარდობის ხანაში მნიშვნელოვანი ორი ასპექტი გამოდის წინა პლანზე, ესენია ოჯახისგან დამოუკიდებლობა და პიროვნული იდენტურობის განვითარება (Ashford & Lecroy, 2008).მოზარდობა ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაზაა. ოჯახური, ინტერპერსონალური და ინსტიტუციური ურთიერთობების განვითარებამ ამ კრიტიკულ ფაზაში შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს პიროვნების ცხოვრებაზე (Boardman & Saint Onge, 2005).

ფსიქო-სოციალური განვითარების თეორიაში ერიქსონი პიროვნული იდენტობის განვითარებას აღწერს მე-5 ფაზაში „იდენტობა როლების აღრევის წინააღმდეგ“ (Erikson, 1994). იდენტობის ჩამოყალიბება, მაღალი თვითშეფასება და შესაძლებლობების სწორი

აღქმა, დადებითი კორელაციით უკავშირდება გარემოში ადაპტაციას, სხვადასხვა სისტემის მიმართ მიკუთვნებულობის განცდას და სოციალურ სისტემებში ყოფნის კომფორტულობას (ხუჭუა, 2018). იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ მთლიანობასა და ინდივიდუალურობაზე, რომლის მეშვეობით იგი საკუთარ თავს აიგივებს გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან (თანდაშვილი, 2017). პიროვნების იდენტობის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია მოზარდებისთვის, რადგან ესაა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური და სოციალური განვითარებისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი, რათა მოზარდი გადავიდეს ზრდასრულობის ეტაპზე (Ashford & Lecroy, 2008). როგორც აღინიშნა, იდენტობა ყალიბდება მოზარდობის პერიოდში. ექსპერიმენტირებისა და საკუთარი გამოცდილებისა თუ იდეების შეფასების პროცესში, მოზარდს უყალიბდება გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ არის, რას წარმოადგენს, ადამიანი საკუთარ თავს მოზარდ ასაკში შეიცნობს (ზასტროუ & ქრისთ-ეშმანი, 2001). იდენტობის ჩამოყალიბება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემას ითხოვს, როგორიცაა: ვინ ვარ მე? რა მსურს ცხოვრებისგან? როგორი პიროვნება მინდა გავხდე? ცხოვრებაში უმთავრესი გადაწყვეტილებების მიღება სწორედ ამ კითხვების პასუხებზე შეიძლება იქნეს დამოკიდებული (ზასტროუ & ქრისთ-ეშმანი, 2001). მოზარდის კანონსაწინააღმდეგო, დელიქვენტური, დევიაციური ქცევა ზოგჯერ, სწორედ იდენტობის კრიზისითაა გამოწვეული (Ashford & Lecroy, 2008).

მოზარდობის ეტაპზე პიროვნებას უჭირს სურვილების რაციონალური მართვა (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016). ამ პერიოდის განმავლობაში მოზარდს აღენიშნება ხშირი უხასიათობა, ხასიათის მკვეთრი ცვლილებები, არასერიოზული დამოკიდებულება საქმის მიმართ, გადაწყვეტილების მიღების გართულება და მოზღვავებული ენერგია, ესაა პერიოდი, როდესაც მოზარდს უჭირს ემოციების კონტროლი და ზედმეტად იმპულსური ხდება (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016).

მოზარდის განვითარებაში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სამეგობრო წრეს (Ashford & Lecroy, 2008). მოზარდები გადიან განვითარების იმ ეტაპს, როცა საჭიროებას წარმოადგენს

თანატოლებთან ერთად დროის გატარება. ეს ინტერაქცია თავის თავში მოიაზრებს მნიშვნელოვანი ინფორმაციების გაცვლას, რომელიც, ზოგადად, ოჯახის ფარგლებში ვერ ხდება. თანატოლებთან ინტერაქცია კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენს პირადი და სოციალური კომპეტენციის განვითარებისთვის; მოზარდები ცდილობენ თანატოლებში პოპულარობა მოიპოვონ და ხშირად საკუთარ პოზიციას ამა თუ იმ ქცევისადმი არ ამჟღავნებენ (Ashford & Lecroy, 2008). მოზარდი, გადაწყვეტილების მიღებისას, უმეტესწილად ეყრდნობა თანატოლთა დამოკიდებულებას და ცდილობს მოიქცეს ისე, რომ არ დაკარგოს სოციალური სასურველობა (Ashford & Lecroy, 2008). დიდია სამეზობლოს გავლენაც მოზარდის ფიზიკურ და სულიერ კეთილდღეობაზე (Boardman & Saint Onge, 2005). ბუნებრივია ეს უფრო მოწყვლადს ქმნის მოზარდს არ აჰყვეს თანატოლების არასწორ, ხშირ შეთხვევაში კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. საგულისხმოა, რომ უამრავი დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია თანატოლთა ჯგუფის გავლენის შედეგად (Ashford & Lecroy, 2008). არაერთი დელიქვენტური ქცევაა განხორციელებული თანატოლთა ჯგუფში ე.წ. „სტატუსის“ ასამაღლებლად; დანაშაულს ჩადიან როგორც ჯგუფის ზეგავლენით, ასევე ჯგუფის წევრებისთვის მათი დავალებით (Ashford & Lecroy, 2008). კოულმანი გამოყოფს სოციალურ კაპიტალს, როგორც ზემოქმედების მნიშვნელოვან ფაქტორს თანატოლთა შორის ურთიერთობებზე და ინდივიდის ქცევის ზემოქმედებაზე(Haynie, 2002). მოზარდებისთვის სოციალური ურთიერთობები სოციალური კაპიტალის მთავარი შემავსებელი ნაწილია. ხშირად კი სოციალური კაპიტალი ზემოქმედებს პიროვნების სოციალურ მიმღებლობაზე, იდენტობასა თუ მიკუთვნებულობაზე, შედეგად, დევიაციური და კანონსაწინააღმდეგო ქმედების მქონე სოციალური კაპიტალი მოქმედებს მოზარდის ქცევაზე და თავადაც ახორციელებს დელიქვენტურ ქცევას (Haynie, 2002). არნეტი მიუთითებს, რომ სარისკო ქცევის განხორციელებაზე დიდი გავლენა აქვს თანატოლებს, რომლებიც ხშირად როლური მოდელის ამპლუაში გვევლინებიან (Ashford & Lecroy, 2008). ყმაწვილები მტკივნეულად აღიქვამენ ყველაფერს, რაც მათ თვით შეგრძნებაზე და იდენტობაზე ზემოქმედებს, ისინი ცდილობენ გამოკვეთონ თავიანთი პერსონა სხვათა თვალში, სწორედ ამ დროს ხდება შესამჩნევი, თუ რამდენად სუსტია მათი თავდაჯერებულობა (Guardini, 2001),შედეგად, წინააღმდეგობას არ გაუწევენ თანატოლთ

კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხოციელებისას, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. გადაწყვეტილების მიღებისას სხვისი აზრისადმი მორჩილებას ადასტურებს მარსიას იდენტურობის ჩამოყალიბების ფაზები, კერძოდ კი ჩამოწერის ფაზა. ამ დროს შესაძლოა დადგეს იდენტურობის კრიზისი და ამაში დიდი როლი აქვს ოჯახს, როგორც სოციუმის ნაწილს. იდენტობის კრიზისის დროს მოზარდის გადაწყვეტილება მისი მშობლების ღირებულებებსა და აზრებს ეფუძვნება და არა საკუთარს (ზასტროუ & ქრისთ-ეშმანი, 2001). დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდების უმეტესობა გახლეჩილი და დისფუნქციური ოჯახებიდანაა (Eliot, 2019).

მოზარდის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს სკოლას (Ashford & Lecroy, 2008). მოზარდსა და სკოლას შორის დამოკიდებულების მნიშვნელობა სულ უფრო მეტად იზრდება. სკოლის მიზანია მოამზადოს მოზარდი ცხოვრების სხვადასხვა მრავალფეროვანი ასპექტის მისაღებად. ის ასევე პასუხისმგებელია მოზარდების სოციო-ემოიცურ განვითარებაზე (Ashford & Lecroy, 2008). აღნიშნული დასტურდება სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით. კერძოდ, ჩიკაგოში ჩატარებული კვლევა გამოყოფს ადრეული საგანმანათლებლო ინტერვენციის როლს, ასევე ოჯახის, თანატოლთა და სკოლის როლს არასრულწლოვანთა დანაშაულებების საქმეში. სასკოლო ინტერვენციები, სპეციალური საგანმანათლებლო მიდგომა, ასევე, ემოციური და ქცევითი სირთულის იდენტიფიცირება არასრულწლოვანთან, დელიქვენტური ქცევის ერთ-ერთ პრევენციულ ფაქტორადაა აღნიშნული (Mann & Reynolds, 2006).

მოზარდობის ეტაპზე საქმე გვაქვს პიროვნების სულიერ განვითარებასთან, სულიერ ღირებულებათა კონფლიქტთან (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016). მოზარდი საკუთარი თავისა და „მე“-ს წარმოჩენისთვის ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და დგება სამართლებრივი პასუხისმგებლობა (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016).

ნათელია, რომ მოზარდობის ეტაპის განვითარების პროცესი საკმაოდ რთული და მრავლისმომცველია. თუმცა, მოზარდობაზე საუბარი დელიქვენტური ქცევის გვერდის ავლით შეუძლებელია. სწორედ განვითარების პროცესში წარმოქმნილი ზემოთ აღნიშნული

კრიზისები/დაბრკოლებები ხდება შემდგომში დევიანტური, კონფორმული ან/და დელიქვენტური ქცევის განმაპირობებელი. ზოგადად, მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების კრიმინალური მაჩვენებელი მთელი მსოფლიოსთვის ყურადსაღები საკითხია. 2003 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით ქურდობის ფაქტი ლავირებდა 38%-დან 56%-მდე, ყაჩაღობა 6-8%, საკუთრების განზრახ დაზიანება 31-51%. ამასთან, მოზარდების 80% ცხოვრების მანძილზე ახორციელებს რაიმე დელიქვენტურ ქცევას მაინც, ყველაზე კრიტიკულ ასაკად კი მიიჩნევა 15-16 წელი (Snyder, Espiritu, Huizinga, Loeber, & Petechuk, 2003).

დელიქვენტური/დევიანტური ქცევა სოციალური ნორმებისა და მოლოდინებისადმი შესატყვისობა-შეუსატყვისობით განისაზღვრება (Polizzi, 2011). დელიქვენტურ და ანტისოციალურ ქცევას უამრავი მკვლევარი თუ მეცნიერი სწავლობდა, მათ შორის ლომბროზო, შელდონი, დიურკემი, მერტონი, ეგნიუ, ბეკერი და სხვანი. დელიქვენტური ქცევის მიზეზების კვლევაში დიდი ადგილი უჭირავს მოფიტის თეორიას, რომელმაც განასხვავა მოზარდობის პერიოდში განხორციელებული ანტისოციალური ქცევები. კერძოდ, კი დაჰყო ის ორ მთავარ ტრაექტორიად: ცხოვრება-მიმართულება-ურყევი და შეზღუდული მოზარდობა, აღნიშნული პატერნები ცნობილია, აგრეთვე, ადრეულ-დამწყებ და მოზარდობის-საწყის ტრაექტორიებად (Ashford & Lecroy, 2008). ცხოვრება-მიმართულება-ურყევი იწყება ადრეული ბავშვობიდან და გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე, ასოცირდება ადრეულ ქცევით პრობლემებთან, აგრესიულობასთან და აკადემიურ სირთულეებთან (Ashford & Lecroy, 2008). აღნიშნული პატერნისგან განსხვავებით, შეზღუდული მოზარდობის დროს სახეზე გვაქვს ანტისოციალური ქცევა, რომელიც ვითარდება მოზარდობის ასაკში და სრულდება მცირე მონაკვეთში (Ashford & Lecroy, 2008). მოზარდთა რისკ ქცევას არენტის აზრით, განაპირობებს დაუფიქრებელი უგუნური საქციელი, რომლის მიზეზადაც არენტი 3 ფაქტორს ასახელებს. პირველი და მნიშვნელოვანი ფაქტორი სენსაციის ძიებაა, აღნიშნული მოზარდთა ასაკობრივ ჯგუფს ყველაზე მჭიდროს ესადაგება, რადგან ესაა მოთხოვნილება რაღაც ახლის, განსხვავებულის, ახალი გამოცდილებისა და სურვილების, ფიზიკური და სოციალური რისკების მოთხოვნილება (Ashford & Lecroy, 2008). მეორე ფაქტორი არის ეგოცენტრიზმი, რომელიც

მხარს უჭერს მოზარდს განახორციელოს ისეთი ქცევა, რომელიც სარისკოა, მაგრამ საშიშროებას არ ქმნის. ხოლო მესამე ფაქტორი არის კოლექტიური ეგოცენტრიზმი (Ashford & Lecroy, 2008).

არასრულწლოვანთა მიერ დელიქვენტური ქცევის განხორციელებას ხელს უწყობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ მოზარდის მდგომარეობაზე, ეს კი გამოწვეულია განვითარების ეტაპის თავისებურებებით (შალიკაშვილი & მიქანაძე, 2016). მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოჯახს, სოციალურ ურთიერთობებს, სკოლას/განათლებას, პიროვნების ფსიქო-ემოციურ განვითარებას. ჩამოთვლილი პატერნები კი, თავის მხრივ, ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის შემადგენელი კომპონენტებია.

თავი 2. ფსიქიკური ჯანმრთელობა

2.1 რა არის ფსიქიკური ჯანმრთელობა?

ფსიქიკური ჯანმრთელობა არის ემოციური და სოციალური კეთილდღეობის ფაზა, რომელშიც ინდივიდს შესწევს უნარი, გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ სტრესს და გამოავლინოს მისი პოტენციალი. ის მოიცავს პროდუქტიულობას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ინტერაქციის უნარს (Elder, Evans, & Nizette, 2008). ფსიქიკური დაავადება ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ნორმიდან გადახრა, თუმცა ნორმის დეფინიციაცსაკამათო საკითხია. მრავალფეროვანი ქცევითი მოდელებისა და ღირებულებების გამო, ხშირად საკმაოდ რთულია დავასკვნათ, ადამიანის ესა თუ ის ქცევა მისი განსხვავებული ღირებულებების გამოა თუ აღნიშნული რეაქციები გარემოსთან შეუსაბამო და უცნაურია (Elder, Evans, & Nizette, 2008).

ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაცია ფსიქიკურ მდგომარეობას სამ ძირითად ჯგუფში აერთიანებს. ესენია: მდგომარეობები, რომლებიც ტვინის დაზიანებითაა გამოწვეული, გონებრივი განვითარების ჩამორჩენა და დარღვევები, რომელიც არაა არც ერთი ზემოთ ნახსენები მიზეზით და მიეკუთვნება ფსიქოგენურ მიზეზებს (Lester & Glasby, 2006). ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა არის შინაგანი წონასწორობის მდგომარეობა, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს თავისი შესაძლებლობები გამოიყენოს მაქსიმალურად და რაც მთავარია ჰარმონიულად საზოგადოების უნივერსალურ ფასეულობებთან მიმართებით (Tengland, 2001). ინდივიდს უნდა გააჩნდეს საბაზისო კოგნიტური და სოციალური უნარები, საკუთარი ემოციების აღქმის, გამოხატვისა და მოდელირების შესაძლებლობა, ასევე ემპათიის უნარი. ფსიქიკური ჯნამრთელობის მნიშვნელოვანი კომპონენტია გონებასა და სხეულს შორის ჰარმონიული ურთიერთობა (Galderisi, Heinz, Kastrup, Beezhold, & Sartorius, 2015). იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდს არ გააჩნია ამა თუ იმ ემოციის რელევანტურად გამოხატვის უნარი, ვერ აღიქვამს ნორმას და მისი ქცევა დევიანტურია, მას შეიძლება კანონის მიმართ პრობლემები

შეექმნას ცხოვრების მანძილზე. ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევის ერთ-ერთი ფორმაა ქცევითი და ემოციური დარღვევები, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდის ქცევის ცვლილებასთან. მასში შედის შფოთვითი აშლილობა, დისოციალური აშლილობა, დეპრესია, ყურადღების დეფიციტის ჰიპერაქტიური აშლილობა, ქცევის აშლილობა (Behavioral Disorder Symptoms, Causes and Effects, 2019).

31 ქვეყნის მონაცემის საფუძველზე დადგინდა, რომ 4-დან 1 მოზარდი მაინც განიცდის ორ ან მეტ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის სიმპტომს კვირაში რამოდენიმეჯერ, ეს მაჩვენებელი 14%-ია გერმანიისთღვის, 15% ავსტრიისთვის, 33% ბულგარეთისთვის და 37% იტალიისთვის (Bruckauf, 2017). 2006 წლიდან 2014 წლამდე დაფიქსირდა მზარდი ტენდენცია, კერძოდ, კი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაჩვენებელი მოზარდებში გაიზარდა 2%-ით ევროპის 12 ქვეყანაში (Bruckauf, 2017). აღსანიშნავია გენდერული სხვაობა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოზარდებში, კერძოდ, 13-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში გოგონების რაოდენობა ორჯერ ჭარბობდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბიჭების რაოდენობას (Evans, 2016). ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლინება პიკს 15 წლის ასაკში აღწევს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 13-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში გოგონები უფრო ხშირად განიცდიან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, ვიდრე იმავე ასაკის ბიჭები (Evans, 2016).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფორმებიდან, რომელიმე ქცევითი აშლილობის არსებობამ შესაძლოა პიროვნებას პრობლემები შეუქმნას არა მხოლოდ ყოფით ცხოვრებაში, არამედ კანონთან მიმართებითაც.

2.2 ფსიქიკური ჯანმრთელობა და კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები

ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მრავლისმომცველია, მასში შედის ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, ქცევითი აშლილობა, შფოთვითი აშლილობა, ჭამასთან და ხასიათთან დაკავშირებული პრობლემები. კვლევების თანახმად, საკმაოდ მჭიდრო კავშირი არსებობს მოზარდობის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებსა და განცდილ ბულინგს შორის (Bruckauf, 2017). მსგავსი პრობლემები დაკავშირებულია აკადემიურ მოსწრებასთან, ასევე სარისკო ქცევებთან, თვითდაზიანებასთან და სუიციდთანაც კი (Bruckauf, 2017).

საერთაშორისო სივრცეში ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით განხორციელებული კვლევების სიუხვე მიუთითებს აღნიშნული საკითხის პრობლემატურობაზე. კვლევებით ასევე ნათელი ხდება ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და დელიქვენტურ ქცევას შორის მიმართებები.

2018 წელს ესპანეთში ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც იკვლევდა კავშირს ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და დელიქვენტურ ქცევას შორის, აჩვენა, რომ დეპრესია და კრიმინალის მაღალი დონე დაკავშირებულია ერთმანეთთან. უნდა აღინიშნოს, რომ დეპრესიის დელიქვენტურ ქცევაზე გავლენის შესწავლისას, იმდენად მაღალი გავლენა დაფიქსირდა, რომ შესაძლებელი გახდა დელიქვენტური ქცევის პროგნოზირება(Jennings, Fenimore, Piquero, Bird, & Canino, 2018). 2013-2014 წლებში თურქეთში ჩატარდა ფსიქიკური პრობლემების კვლევა კრიმინალისკენ მიდრეკილ მოზარდებთან. გამოკითხვაში ჩართული მოზარდების 23%-ს არ აღენიშნებოდა არც ერთი ფსიქიკური დარღვევის დიაგნოზი. ხოლო დარჩენილი 77%-ის დიაგნოზებში გამოიყო შემდეგი: 1% პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, 4% დეპრესია, 5% შფოთვა, 16% ქცევითი აშლილობა, 12%ყურადღების დეფიციტიADHD. კვლევის მიხედვით, მოზარდებში, რომლებიც მიდრეკილნი არიან დელიქვენტური ქცევისკენ, ყველაზე ხშირად აღინიშნება ქცევითი დარღვევები, ყურადღების დეფიციტიADHD, დეპრესია, შფოთვა, ასევე, კვლევამ ცხადყო, რომ ქცევითი

აშლილობები დეტერმინანტები არიან შემდგომში კრიმინალური ქცევის განხორციელების (Nasıroğlu & Semerci, 2017). დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებს ხშირად აქვთ თანმხლები სირთულეები, როგორიცაა დისფუნქციურობა სკოლაში, ნივთიერებების მოხმარება, ყურადღების დეფიციტი ADHD (Loeber & Slot, 2007). დორელაიჯერსმა კრიმინალური ქცევის მქონე მოზარდები დაჰყო ადრეულ (12-დან 14 წლამდე) და გვიან (15-დან 17 წლამდე) ჯგუფებად, საგულისხმოა, რომ ყურადღების დეფიციტის დიაგნოზი ადრეულ ჯგუფში 3-ჯერ მეტი იყო, ასევე, ხსენებულ კვლევაში 30% აღენიშნა ქცევითი სირთულეები (Loeber & Slot, 2007). ქცევითი დარღვევების კავშირს დელიქვენტურ ქცევასთან ნეირობიოლოგიაც ადასტურებს. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტვინის განვითარება გრძელდება არა მხოლოდ მოზარდობის ხანაში, არამედ გვიან ზრდასრულობამდე. ტვინის პრეფრონტალური რეგიონი, რომელიც პასუხისმგებელია არა მხოლოდ ძირითად ფუნქციებზე, არამედ ისეთებზეც, როგორიცაა განსჯა, გადაწყვეტილების მიღება, სამართლიანობის განცდა და ინტერპრეტაცია, ფსიქიკური აშლიობის დროს ვერ ასრულებს განვითარებას. ეს კი გავლენას ახდენს მოზარდზე, შედეგად, ვეღარ აღიქვამს დანაშაულის მნიშვნელობას, ვერ აკონტროლებს ქცევას და ვერ აღიქვამს მოსალოდნელ შედეგებს (Nasıroğlu & Semerci, 2017).

ბოლო ათწლეულის მანძილზე გაიზარდა სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ყურადღება არასრულწლოვან დამნაშავეებზე, რომელთაც აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. ამ ტენდენციაზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევის მიხედვით, ავტორები ასკვნიან, რომ სამართალდარღვევა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ერთმანეთის თანამდევები არიან (Underwood & Washington, 2016).ძალადობრივი ქცევისკენ მიდრეკილი მოზარდები ხშირად აღნიშნულ ქცევას ახორციელებენ პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის ფონზე(Lai, 1999)

ფსიქიკური ჯნამრთელობის პრობლემების მქონე მოზარდებს აღენიშნებათ იმპულსურობა, აგრესია, კოგნიტური დაბნეულობა, რომელიც მათ უფრო მოწყვლადს ქმნის, ზრდის მათ რისკს რომ განახორციელონ დელიქვენტური ქცევა განსაკუთრებით სტრესის დროს (Grisso, 2019). ქცევითი დარღვევის მქონე მოზარდების ქცევა დაკავშირებულია დელიქვენტურ

ქცევასთან. აღსანიშნავია, რომ დელიქვენტური ქცევის განხორციელებისას ქცევით დარღვევასთან ერთად აღინიშნა ჰიპერაქტიურობა და ყურადღების დეფიციტი (Morde, Groholt, & Myhre, 2011).

საგულისხმოა შემდეგი ფაქტორიც, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ქცევითი დარღვევები ხდება მოზარდების მიერ ძალადობის განხორციელების ერთ-ერთი მიზეზი, ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია ისიც, რომ ქცევითი აშლილობის მქონე მოზარდებში გამოხატულია ცხოველებისადმი განსაკუთრებული სისასტიკით მოპყრობა, ეს კი სპეციალისტებისთვის წითელი ნიშნულია, რადგან აღნიშნული ქცევა მკვლელობის წინაპირობად მიიჩნევა (Wilson & Norris, 2003). ქცევითი აშლილობა ანტისოციალური ქცევის მთავარი განმსაზღვრელია, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე შესაძლოა გამოიხატოს ცხოველებთან სასტიკ მოპყრობაში, ეს კი შემდგომში უფრო მძიმე დანაშაულის წინაპირობა გახდეს (Wilson & Norris, 2003). 2018 წელს სმიტის და კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, შფოთვითი აშლილობის გამოვლინება პირდაპირ აისახა დანაშაულებრივ ქცევაზე (Huesmann, Boxer, & Smith, 2018).

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული „კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევა კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებში, ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით“, ეხმიანება ზემოთ განხილულ სამეცნიერო ლიტერატურას და აანალიზებს საკითხს საქართველოს რეალობაში.

თავი 3. ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის ანალიზი

კეთილდღეობას სხვადასხვა თეორეტიკოსი განსხვავებულად განმარტავს. ფიცპატრიკის განმარტებით, კეთილდღეობა შედგება ექვსი კომპონენტისგან: ბედნიერება, უსაფრთხოება, უპირატესობები, საჭიროება, დამსახურება და შედარებითობა (Fitzpatrick, 2011). ბედნიერება, როგორც კეთილდღეობის განმსაზღვრელი კომპონენტი, მოიცავს ბედნიერების ღრმა განსაზღვრებას, მის ზოგად მდგომარეობას, პიროვნების კარგად ყოფნას მთლიანობაში (Fitzpatrick, 2011). უსაფრთხოება იძლევა განცდას, რომ მდგომარეობა არ გაუარესდება მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად, ეს კი პიროვნებისთვის ფასეული და სიმშვიდის მომგვრელია (Fitzpatrick, 2011). კეთილდღეობის გაზომვა უპირატესობებით, მას რაოდენობრივს ხდის, უპირატესობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური და სრულად ვერ ფარავდეს კეთილდღეობის ცნებას (Fitzpatrick, 2011). რაც შეეხება დამსახურებას, ესაა კოცეფცია, რომელიც ხაზს უსვამს საზოგადოების ბუნებრივ ურთიერთდამოკიდებულებებს, ამავდროულად, იმ ადამიანთა სანქცირების უფლებას გვანიჭებს, რომლების იმაზე მეტს იღებენ, ვიდრე დაიმსახურეს, ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, თუ რეალურად ვინ რა დაიმსახურა (Fitzpatrick, 2011). ბოლო კომპონენტი არის შედარებითობა, რომლის მიხედვითაც, კეთილდღეობა დაკავშირებულია ადამიანის თვისებასთან მუდმივად შეადაროს თავი სხვებს (Fitzpatrick, 2011).

მოზარდებში კეთილდღეობის მაჩვენებლის დონის განსასაზღვრად სხვადასხვა ქვეყანაში შემუშავებულია ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსები. ნაშრომი აანალიზებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა დაცვის ფონდის მიერ შემუშავებულ ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსს, ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ კეთილდღეობის განმსაზღვრელ კითხვარს. ბავშვთა დაცვის ფონდის მიერ შემუშავებული ბავშვთა და მოზართდა კეთილდღეობის ინდექსი მოიცავს 28 ინდიკატორს, რომელიც დაჯგუფებულია შვიდ სექტორში. ეს სექტორებია: ეკონომიკური კეთილდღეობა, უსაფრთხო/სარისკო ქცევა, სოციალური ურთიერთობები, ემოციური/სულიერი კეთილდღეობა, საზოგადოებრივი აქტიურობა, საგანმანათლებლო მიღწევები და ჯანმრთელობა (Land, 2010). ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსი არის

მტკიცებულებებზე დაფუძნებული ერთიანი ტრენდების საზომი, რომელიც ბავშვების ცხოვრების ხარისხს ზომავს დაბადებიდან 18 წალმდე (Land, 2010). ერთიანად აღებული 28 ინდიკატორი და შვიდი სექტორი, რომელშიც აღნიშნული ინდიკატორები ერთიანდებიან ქმნის ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ამსახველ საერთო სურათს. თითოეული სექტორი წარმოადგენს მნიშვნელოვან არეალს, რომელიც გავლენას ახდენს კეთილდღეობაზე და ცხოვრების ხარისხზე, ეს ინდიკატორებია:ოჯახის ეკონომიკა - სიღარიბის მაჩვენებელი, მშობელთა სტაბილური სამსახური, საშუალო წლიური შემოსავალი, ჯანმრთელობის დაზღვევის მქონა ბავშვების მაჩვენებელი; უსაფრთხო და სარისკო ქცევა - მოზარდების რეპროდუქცია, კრინიმალური ქცევის მაჩვენებელი, დანაშაულის მსხვერპლთა მაჩვენებელი, თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის მიღება, ნარკოტიკული საშუალებების ავადმოხმარება; სოციალური ურთიერთობები;ემოციური და სულიერი კეთილდღეობა; საზოგადოებრივი ჩართულობა; საგანმანათლებლო მიღწევები და ჯანმრთელობა(Land, 2010). აღნიშნული ინდიკატორების მონაცემები არის სოციალური ინსტიტუტების სიძლიერის, ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების გამართული ფუნქციონირების მაჩვენებელი (Land, 2010).

საგულისხმოა, რომ 2000-2008 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში კეთილდღეობაში აღნიშნული პოზიტიური ცვლილებები ძირითადად მოიცავდა უსაფრთხო/რისკ ქცევის სექტორს (27,93%), სოციალური ურთიერთობების სექტორს (13.33%) და საზოგადოებაში ჩართულობის სექტორს (11.13%). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის მონაცემებით,18 წლამდე ასაკის პირები ამერიკაში ყველაზე დიდი ჯგუფია, რომელიც სიღარიბეში ცხსოვრობს (Land, 2010).

ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის გარდა, კეთილდღეობის განმსაზღვრელია, აგრეთვე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კეთილდღეობის ინდექსის კითხვარი (იხ. დანართი #5). ეს უკანასკნელი სწავლობს პიროვნების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას (Topp, Ostergaard, Sondergraad, & Bech, 2015). WHO-5 არის 5 კითხვისაგან შემდგარი კითხვარი, რომელიც მიმართულია პიროვნების სუბიექტურ კეთილდღეობაზე, თითოეული კითხვა ფასდება 0-დან 5 ქულამდე სიხშირის

ზრდის მიხედვით (Topp, Ostergaard, Sondergraad, & Bech, 2015). WHO-5 კითხვარით შესაძლოა მოხდეს დეპრესიის სკრინინგიც, რის გამოც არაერთი დაწესებულება მიმართავს აღნიშნულ კითხვარს (Topp, Ostergaard, Sondergraad, & Bech, 2015). აღსანიშნავია ისიც, რომ დეპრესიის გარდა WHO-5 კითხვარს იყენებენ ალკოჰოლიზმთან და სხვა ნივთიერებების მოხმარების დროს (Topp, Ostergaard, Sondergraad, & Bech, 2015). ჰენსინგი იკვლევდა ალკოჰოლისა და კეთილდღეობის კორელაციას შვედეთში. კვლევის მიხედვით, აღინიშნა ძლიერი უარყოფითი კორელაცია ალკოჰოლის მოხმარებასა და კეთილდღეობის დონეს შორის (Topp, Ostergaard, Sondergraad, & Bech, 2015).

გარდა ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კითხვარისა, რომელიც იკლევს ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დონეს, აღსანიშნავია, აგრეთქვე სოციო-ემოციური კეთილდღეობის ინდექსი. ეს უკანასკნელი არის ინდიკატორების ერთობლიობა, რომელიც სუბიექტურ კეთილდღეობასთანაა დაკავშირებული (Bericat, 2014). სუბიექტური კეთილდღეობის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია ცხოვრებით კმაყოფილება, პოზიტიური განწყობა და ნეგატიური განწყობის არარსებობა, ძირითადად ეხება ადამიანის ემოციურ კარგად ყოფნას და მის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ასპექტებს. ფსიქოლოგიური კეთილდღეობა კი, თავის მხრივ, მოიცავს კმაყოფილების განცდას, ფსიქიკურ ჯანმრთელობას, სხვა პიროვნებისადმი ინტერესს, სიტუაციის კონტროლის განცდას (McLanahan & Adams, 1987). ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განზომილებები მოიცავს პოზიტიურ თვითაღქმას, გარემოს მართვას, ავტონომიას, ცხოვრების აზრისა და მიზნის არსებობას და პიროვნულ ზრდას (Ryff, 1995). მოზარდებში აღნიშნულ განზომილებებში მკვეთრი სტაგნაცია დელიქვენტური ქცევის ერთ-ერთი მიზეზია (Turner, Shattuck, Hamby, & Finkelhor, 2013).

ენჰოვენი სუბიექტურ კეთილდღეობას განსაზღვრავს, როგორც მდგომარეობას, როდესაც ინდივიდი საკუთარ კეთილდღეობას განსჯის დადებითად. ეს განსჯა ან შეფასება შედგება ორი კომპონენტისგან, პირველი არის ემოციური, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ინდივიდუალურ გამოცდილებაზე დაყრნობით, მაგალითად, ბედნიერების დონე და

მეორე, კოგნიტური, რომელიც გამოიხატება კმაყოფილების ინდივიდუალური შეგრძნებით, რომელიც მათ ცხოვრებას უკავშირდება (Bericat, 2014). ემოციების სოციალური ინტერაქციის თეორია ეფუძნება კოლინსის დიდი ემოციების კლასის იდეას, რომელიც რეალურ, წარმოსახვით და მოსალოდნელი სოციალური ურთიერთობებით განისაზღვრება (Bericat, 2014). ბედნიერების განცდა და სხვა დადებითი ემოციები პროტოტიპური ემოციური სტადიაა, რომელსაც მონაწილე განიცდის, როდესაც იღებს ადეკვატურ ემოციურ ჯილდოს სოციალური ინტერაქციიდან, ამის საპირწონედ, ინდივიდი განიცდის დეპრესიას, თუ ინტერაქციის დროს არ იღებს შესაბამის ჯილდოს სტატუსთან დაკავშირებით (Bericat, 2014). ემოციური სტადიები რომელსაც კოლინსი იხსენიებს ემოციურ ენერგიაზე საუბრისას არის შემდეგი - სიცოცხლისუნარიანობა/ ენთუზიაზმი / ეფექტურობა დეგრადირების წინააღმდეგ/ დეპრესია და კმაყოფილება/ ბედნიერება სევდის წინააღმდეგ/ სირცხვილი - ეს სტადიები კონცეფციის ორ განზომილებას პასუხობს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცალ მხარეს რაღაც დონის ენერგიაა და მეორე მხარეს რაღაც დონის ემოციური კეთილდღეობა(Bericat, 2014). კემპერის თეორიის მიხედვით, რომელიც ვარაუდის დონეზე აღწერს იმ ემოციურ სტადიებს, რომელიც ემყარება შედარებით ძალაუფლებას და სტატუსს და რომელიც ნებისმიერ სოციალურ კონტექსტში და სიტუაციაში თანსდევს ინდივიდს, ჩვენ ვიღებთ ემოციებს რომელიც ორ სხვადასხვა პოლუსზე თავსდება სოციოემოციური კეთილდღეობის კონტექსტში (Bericat, 2014).

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევის შემუშავებისას გამოყენებული იქნა ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის იდიკატორები და გაანალიზდა ინდექსის თითოეული კომპონენტი დელიქვენტურ ქცევასთან მიმართებით.

თავი 4. კვლევის დიზაინი

კვლევის მიზანი: სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრამდე, მოზარდთა კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ანალიზი ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით.

ამოცანები:

1. გავაანალიზოთ, განვითარების ძირითადი მახასიათებლები მოზარდებთან.
2. განვსაზღვროთ, ფსიქიკური ჯანმრთელობის როლი მოზარდთა ქცევაში.
3. გავაანალიზოთ, არის თუ არა კარგი ფსიქიკური ჯანმრთელობა მოზარდთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორი.
4. გავაანალიზოთ, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა კეთილდღეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრემდე.

რესპოდენტთა ჯგუფები:

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა: კანონთან კონფლიქტში მყოფი 5 მოზარდი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში, ასევე 5 მოზარდი, რომელნიც არ იმყოფებოდნენ კანონთან კონფლიქტში. 5 ექსპერტი, კერძოდ, კი 4 სოციალური მუშაკი და 1 ფსიქოლოგი. რესპონდენტები გაეცნენ ინფორმაციას კვლევასთან დაკავშირებით. სიღრმისეული ინტერვიუს დაწყებამდე, მათდააფიქსირესინფორმაციული თანხმობა. ასევე, მოხდა ისეთ საკითხებზე შეთანხმება, როგორიცაა ინტერვიუს ჩაწერა ხმის ჩამწერ მოწყობილობაზე. მოზარდების შემთხვევაში ანონიმურობის პრინციპი სრულად იქნა დაცული.

გამოყენებული მეთოდები:

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა თვისებრივი სახის კვლევა. რესპონდენტები გამოიკითხნენ პირისპირი, ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით, რომელიც გრძელდებოდა საშუალოდ 60-90 წუთს. ინტერვიუ მიმდინარეობდა

წინასწარ შემუშავებული გზამკვლევით, რომელიც დაფუძნებული იყო ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსზე.

კვლევის არეალი:

კვლევის არეალი მოიცავდა კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებს თბილისის მასშტაბით, ასევე მოზარდებს, რომლებიც არ ყოფილან კანონთან კონფლიქტში და სფეროს ექსპერტებს თბილისის მასშტაბით.

კვლევის შეზღუდვა:

კლევის შეზღუდვაში უნდა გამოიყოს შემდეგი ფაქტორი - მატერიალური რესურსების არ არსებობის გამო, ვერ მოხდა კვლევის ფართო მასშტაბის დაფარვა.

გამოყენებული ინსტრუმენტები:

სიღრმისეული ინტერვიუს დროს გამოყენებული იქნა წინასწარ შედგენილი გზამკვლევი, რომელიც აგებული ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის შემადგენელი ინდიკატორების მიხედვით, რითაც მიღებული იქნა ინფორმაცია კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გავლენის შესახებ მოზარდის დელიქვენტურ ქცევაზე. გზამკვლევი განსხვავდებოდა სფეროს ექსპერტებისათვის და მოზარდებისათვის. ინტერვიუს პროცესში მოხდა კითხვების განვრცობა საჭიროების მიხედვით. სიღრმისეული ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა პროექციული და გულახდილობის გამომწვევი ტექნიკა, როგორიცაა ექო, სიჩუმე, განაცხადი. აღნიშნულმა საშუალება მოგვცა, მეტად გახსნილიყვნენ რესპონდენტები, მიგვეღო ვრცელი და გულახდილი პასუხები და საკვლევი საკითხი ძირეულად ყოფილიყო შესწავლილი.

შერჩევა:

მოზარდები შეირჩნენ ალბათური შერჩევით, ხოლო ექსპერტები - მიზნობრივი შერჩევით.

თავი 5. კვლევის შედეგების ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოვლინდა მოზარდის დელიქვენტური ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები, ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გავლენა ქცევაზე. კვლევის შედეგები ეხმიანება განხილულ სამეცნიერო ლიტერატურასა და კვლევებს. უნდა გამოიყოს რადიკალური განსხვავება კანონთან კონფლიქტში მყოფ და კანონთან კონფლიქტში არ მყოფ მოზარდთა ინტერვიუს შედეგებში, რაც ექსპერტთა ინფორმაციული პასუხებითაც დასტურდება.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იყო მოზარდების მიერ ჰობისა და ინტერესების აღწერა. კანონთან კონფლიქტში მყოფმა ხუთივე მოზარდმა არ აღნიშნა რაიმე კონკრეტული ჰობი ან ინტერესი. მათი პასუხები იყო რაიმე კონკრეტულ ინტერესზე არ იყო მიმართული და ცხადყოფდა, რომ თავისუფალ დროს სარგებლიანად არ გეგმავდნენ. *„ჰობი რამე კონკრეტული არ მაქვს, მეგობრებთან ერთად მიყვარს ყოფნა“(ელენე 16წ.).* ხოლო, როდესაც ინეტრვიუერი ეკითხებოდა, თუ რას აკეთებდნენ მეგობრები შეკრებისას, ძირითადად არაფრისმთქმელი, ზოგადი პასუხებით შემოიფარგლებოდნენ:

„ახლა გავუვლი ჩემ ძმაკაცებს და რავიცი წავალთ სადმე, დავლევთ, ვინმესთან ავალთ სახლში, მერე სახლში დავბრუნდები“ (ნიკა 17წ.).

როდესაც რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ ჰქონდა ჰობი, ეს ძირითადად მოიცავდა კომპიუტერულ თამაშებს: *„მიყვარს თამაშები, შემიძლია მთელი დღე ლეგენდების ლიგა ვითამაშო. ბიჭებიც ხშირად მოდიან ხოლმე ჩემთან და ერთად ვთამაშობთ“ (თაზო 15წ.).*

ჰობისა და ინტერესების შესახებ განსხვავებული პასუხები იქნა მიღებული მოზარდებისგან, რომლებიც არ იმყოფებოდნენ კანონთან კონფლიქტში.

„ძალიან მიყვარს ცურვა. ახლა მე-11 კლასში ვარ და გამოცდებისთვის ვემზადები, მაგრამ როცა თავისუფალი დრო მაქვს ვცდილობ განვიტვირთო და მეგობრებთან ერთად მივდივარ აუზზე“ (ლიზა 17წ.).

აღსანიშნავია, რომ მათ უფრო ფართო ინტერესის სფეროები აქვთ, ვიდრე კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებს. *„მე და ჩემი მეგობრები თავისუფალ დროს კინოში დავდივართ ხოლმე. გვიყვარს ფილმების ნახვა. შემდეგ ერთად ვარჩევთ ხოლმე და შთაბეჭდილებებს ვცვლით ნანახ ფილმებზე“ (თემო 15 წ.).*

დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებს ხშირად აქვთ თანმხლები სირთულეები, როგორიცაა დისფუნქციურობა სკოლაში, ნივთიერებების მოხმარება, ყურადღების დეფიციტი ADHD (Lester & Glasby, 2006). აღნიშნული სირთულეები გამოვლინდა კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან ინტერვიუს დროსაც. კეიოდ, ხუთივე მოზარდი მოიხმარდა თამბაქოს პერმანენტულად, ხოლო ალკოჰოლს იშვიათად, მაგრამ დიდი დოზით. ასევე, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებს ჰქონდათ დისფუნქციურობა სკოლაში. საგაკვეთილო პროცესს ან არ ესწრეებოდნენ, ან ესწრებოდნენ სრულიად სხვა მიზეზით, როგორიცაა, მაგალითად კლასელებთან დროის გასატარებლად სკოლაში წასვლა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მათი მომსახურების მიმღები დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდთა უმეტესობას ჰქონდა ქცევითი და ემოციური დარღვევები, მათ შორის ყურადღების დეფიციტი, შფოთვითი აშლილობა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები ძირითადად დისფუნქციურ, გახლეჩილ ოჯახებს აღწერდნენ, ან ისეთს, რომელშიც როლები ქაოტურადაა განაწილებული. *„ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, არ ერევიან ჩემს საქმეში. რომ გითხრათ ყველაფერზე მამაჩემს ვეკითხები აზრსთქო მოგატყუებთ. მირჩევნია ძმაკაცებში ვთქვა უფრო ნაკლები ახსნა მიწევს ხოლმე, ეგრევე ხვდებიან რისი თქმა მინდა“ (ნიკა 17წ.). „ოჯახში ოთხნი ვართ, მაგრამ მამაჩემი სულ გარეთაა, სახლში შუაღამისას მოდის, დედაჩემი ეჩხუბება ხოლმე როცა გვიან მოდის. ჩემს ძმასაც ეჩხუბება ხშირად. ჩემზე რომ გაიგო სიგარეტს ვეწეოდი, ხმას აღარ მცემდა. მამაჩემს რექცია არ ჰქონია, საერთოდ არ აინტერესებს რას ვაკეთებ“ (ნინო 14წ.).* იყო შემთხვევა, როდესაც კანონთან კონფლიქტში არ მყოფი მოზარდის მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, თუმცა ას არ ქმნიდა საფრთხეს მოზარდის კეთილდღეობაში. *„დედა და მამა შარშანწინ გაშორდნენ. დედასთან ცხოვრობ. მამა სულ*

მირეკავს, მკითხულობს. თავისუფალ დროს ვნახულობ ხოლმე. მამას სხვა ოჯახი აქვს და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს“ (ნია 16წ.).

კანონთან კონფლიქტში მყოფნა ხუთივე მოზარდმა აღნიშნა, რომ მოიხმარდა თამბაქოს რეგულარულად, ხოლო ალკოჰოლს მეგობრების გარემოცვაში. ისინი ვერ იაზრებდნენ აღნიშნული ნივთიერებების ზემოქმედების საფრთეებს ქცევაზე: *„რა გავლენა უნდა ჰქონდეს, რომ სვამ კარგად გრძნობ თავს და ეგაა. მეტი არაფერი“ (გიორგი 14წ.). „მოწევა დავიწყე მარტომ, არავის არ უთქვამს გასინჯეო, ახლა თავს ველარ ვანებებ. სასმელს ვსვავ თუ სხვებიც სვამენ, აბა მე ისე ხომ არ ვუყურებ?“ (ელენე 16წ.).*

უნდა აღინიშნოს, ასევე, მოზარდების დამოკიდებულება მეგობრების მიმართ. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები აცხადებდნენ, რომ მათ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი მეგობრებს ეჭირათ. იგრძნობოდა თანატოლთა პირდაპირი ზეგავლენა მათ მიმართ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ სწორედ მეგობრის წაქეზებით ჩაიდინა დანაშაული. *„სულ დაქალებთან ერთად ვარ. რასაც ისინი აკეთებენ მეც იმას ვაკეთებ. მეც კი მომწონს რასაც აეთებენ, მაგრამ თუ არ მომწონს მაინც არ ვეწინააღმდეგები, ბევრნი არიან და მაინც თავისას გაიტანენ“ (ელენე 16წ.). „ოჯახზე მეტად სამეგობროს ვუზიარებ პრობლემებს. ისინი უფრო გამიგებენ, ვიდრე მაგალითად მამაჩემი, იმიტომ რომ ერთნაირი პრობლემები გვაქვს და ბევრს არ მახსნევინებენ (ნიკა 17წ.).* დელიქვენტური ქცევის მქონე ერთ-ერთმა მოზარდმა აღნიშნა, რომ დიდი გავლენა ჰქონდა მასზე სამეგობრო წრეს: *„საძმაკაცო ფაქტიურად ჩემთვის ყველაფერია. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ოჯახივით არიან ჩემთვის. ერთად ვსვავთ ხოლმე, ვერთობით, დავდივართ ექეთ-იქით. თან იმდენი წელი გვაკავშირებს ერთმანეთს და იმდენი პრობლემა. ჩემი ძმები არიან რა“ (თაზო 15წ.).* რაც შეეხება კანონთან კონფლიქტში არ მყოფ მოზარდთა დამოკიდებულებას მეგობრების მიმართ, საგულისხმოა რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, ისინი მიჯნავენ ზღვარს მეგობრებსა და ოჯახს შორის, აქვთ ჯანსაღი ურთიერთობები მეგობრებთან, რაც შემოიფარგლება თავისუფალი დროის პროდუქტიულად დაგეგმვაში, აზრებისა და იდეების გაცვლაში, საერთო ინტერესებში. რესპონდენტები მიჯნავენ მეგობრებს ოჯახისგან. *„მეგობრებთან დროის გატარება მიყვარს, ბევრი საერთო გვაქვს, ერთად*

ვუყურებთ ხოლმე ფილმებს ან ვსეირნობთ ხოლმე. წაკითხულ წიგნებზე ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ. ძალიან საინტერესო მეგობრები მყავს. მაგრამ მათთან ისე გახსნილი არ ვარ, როგორც მაგალითად დედაჩემთან ან ჩემს დასთან. ჩემი ოჯახის წევრები მგონია რომ უკეთ გამიგებენ და უკეთეს რჩევებს მომცემენ, რადგან უფრო გამოცდილები არიან“ (ნია 16წ.). აშკარად იკვეთება მეგობრებს შორის ჯანსაღი დამოკიდებულება მოზარდთა შორის, რომლების არ არიან კანონთან კონფლიქტში.

განსხვავება იკვეთება, აგრეთვე, აკადემიური მოსწრების კუთხითაც. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები აღნიშნავენ, რომ სკოლაში პრობლემები აქვთ, საშუალოზე დაბალ დონეზე სწავლობენ და არ აინტერესებთ სასკოლო საგნები. *„სკოლაში ჩემი კლასელების გამო დავდივარ, თორე საგნეები არც მაინტერესებს. არც ერთი საგანი არ მომწონს. სწავლითაც არ ვსწავლობ“ (თაზო 15წ.).* ხოლო, რაც შეეხება მოზარდთა პასუხებს, რომლებიც არ იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში, აშკარად იკვეთება სწავლისადმი ინტერესი. იმ შემთხვევაშიც, თუ არ არიან ფრიადოსნები, რაიმე საგნით მაინც არიან დაინტერესებულნი. *„ძალიან კარგად არ ვსწავლობ, იმიტომ რომ რაღაც საგნები არ მიყვარს. მაგრამ გეოგრაფიას და ლიტერატურას გარკვად ვსწავლობ, კარგი მასწავლებლები გვყავს მაგ საგნებში და თან ძალიან საინტერესოა“ (თემო 15წ.). „სკოლაში კარგად ვსწავლობ. სულ ათიანები არ მყავს, მაგრამ უმეტესად 8 და 9 ქულები მყავს, თან ბევრი საგანია ისეთი, რომელიც მაინტერესებს. უცხო ენები, ისტორია და ბიოლოგია განსაკუთრებით მიყვარს“ (ლიზა 17წ.).*

კვლევის ფარგლებში შედგენილი გზამკვლევის ერთ-ერთი კითხვა მოიცავდა მოზარდის მხრიდან სკაუთარი ხასიათის აღწერას, რითაც გამოიკვეთა მოზარდის ორი ტიპი: ერთის მხრივ, ხასიათის სირთულეები, რომელსაც გავლენა ჰქონდათ ქცევაზე, და მეორეს მხრივ მოზარდის გაწონასწორებული ხასიათი.კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან სახეზე იყო ხასიათის სირთულეები.

„ზოგადად მშვიდი ვარ, მაგრამ თუ გავბრაზდი მერე ვეღარ ვაკონტროლებ საქციელს. გადამეკეტება ხოლმე. პრინციპში მაგიტომაც ვარ ახლა აქ. დაქალმა გამაბრაზა და სკამი ვესროლე. მეორე დაქალმა კიდე ჩამიშვა“ (ელენე 16წ.).

„მარტივად არ ვბაზრები, მაგრამ როცა გაბრაზებული ვარ შეიძლება შემომაკვდეს ვინც გამაბრაზა. გააჩნია რა, როგორ გამაბრაზებს. უბრალო რამეებზე არ ვბრაზდები“ (ნიკა 17წ.).

მოზარდები, რომლებიც არ იყვნენ კანონთან კონფლიქტში, აღწერდნენ გაწონასწორებულ ხასიათს: *„კი ვბრაზდები ხოლმე, მაგრამ იშვიათად, თან გაბრაზებისას ყველაზე უარესი რასაც ვაკეთებ გაბუტვაა. არ მჩვევია ჩხუბი და ნივთების აქეთ-იქით სროლა. ვფიქრობ ამით სიტუაცია არ მოგვარდება“ (ლიზა 17წ.).*

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინერვიუები სფეროს ექსპერტებთან. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით კიდევ ერთხელ დასტურდება ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და გარემოს ზეგავლენა დელიქვენტურ ქცევაზე. ექსპერტების აზრით, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფატრორები, პირველ რიგში, მოიცავს ემოციური მდგომარეობის სიჯანსაღეს, ასევე ქცევის მართვას, ზოგად ფსიქოლოგიური მდგომარეობის სიჯანსაღეს. ოჯახის ზეგავლენას და პიროვნულ განვითარებას გამოყოფენ ექსპერტები ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად.

„ფსიქოლოგიური კეთილდღეობას, ერთ-ერთი უმთავრესი როლი აქვს მოზარდის ქცევაში და ამას განსაზღვრავს თითქმის ყველა ფაქტორი, რა ფაქტორზეც მიწევს მუშაობა, დაწყებული ოჯახური მდგომარეობითა და პიროვნული განვითარებით, დამთავრებული სამეგობრო წრით“ (ნათია ალიაშვილი, სოციალური მუშაკი).

„გარემო მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის. როდესაც გარემო ვერ უზრუნველყოფს მოზარდის საჭიროებების დაკმაყოფილებას, პიროვნულ და ემოციურ განვითარებას, უსაფრთხოების განცდას. მოზარდის ფსიქოლოგიური კეთილდღეობა არის მაშინ, როცა მას აქვს ურყეობის განცდა უსაფრთხოების, ის რომ მასზე ზრუნავენ. რაც უფრო მეტად არის დარღვეული უსაფრთხოების განცდა ბავშვში დარღვეული, მით უფრო ხშირია დელიქვენტური ქცევის შემთხვევები“ (ნინო ჭარხალაშვილი, ფსიქოლოგი).

ასევე, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმსაზღვრელ ფაქტორად აღინიშნა ძლიერი პიროვნული რესურსების არსებობა, უნარი გაუმლავდეს თანატოლთა და გარემოს ზემოქმედებას.

ფსიქიკურ ჯანმრთელობაში გამოიყო, ასევე, ემოციების მართვის სირთულეები, თვითდაზიანების შემთხვევები. ექსპერტები უმეტესწილად ასახელებენ ნივთიერების მოხმარების შედეგად გამოწვეულ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს. ძირითადად ეს ეხება ალკოჰოლის მოხმარებას, ასევე მარიხუანას, რის შედეგადაც გამოიხატება ქცევითი და ემოციური დარღვევები.

„ფსიქიკურ ჯანმრთელობას ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაში ნამდვილად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მით უმეტეს, რომ ამ კუთხით არ გვაქვს მრავალფეროვანი სერვისები და თუ გამოიკვეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ფაქტობრივად ჩვენი რესურსებით ძალიან გვიჭირს მუშაობა“ (ნათია ალიაშვილი).

„სტრესთან ბრძოლის, ფსიქოლოგიურ სირთულეებთან ბრძოლის მეთოდები არასრულწლოვნებს არ აქვთ მრავალფეროვანი. რადგან არ არსებობს პიროვნული გამოცდილება, მოზარდები კიდევ უფრო მოწყვლადები არიან კრიზისების მიმართ და ეს ქმნის რისკს, რომ დაიწყოს რაიმე ფორმის ქცევითი თუ ხასიათის სირთულეები, ნივთიერებებზე დამოკიდებულება“ (ნინო ბარნაბიშვილი).

იდენტობის ჩამოყალიბებაში წარმოქმნილი სირთულეები მოზარდის ქცევის ცვლილებაზე აისახება (Ashford & Lecroy, 2008). ამის დასტურია სფეროს ექსპერტების პოზიციაც, რომ იდენტობის ჩამოყალიბება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოზარდის დელიქვენტურ ქცევაში, თუ სწორად ვერ იქნა ჩამოყალიბებული იდენტობა, ვერ გაეცა ზემოაღნიშნულ კითხვებს რელევანტური პასუხები, მოზარდი საკუთარ თავში დაიკარგება და მისი ქცევა მარტივად მართვადი გახდება იმ პირებისგან, სადაც მოზარდი უმეტეს დროს ატარებს.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებს აქვთ გამოხატული ემოციური და ქცევითი დარღვევები, რაც კიდევ უფრო მოწყვლადს ქმნის მათ.

„დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებს უჭირს ემოციების მართვა, აგრესიის კონტროლი და ძირითად შემთხვევებში მიმართავენ ფიზიკურ დაპირისპირებებს ან ჩადიან ისეთ დანაშაულს, რომელიც აგრესიულ ქცევასა და ემოციების დაკმაყოფილებაში დაეხმარება“ (ნათია ალიაშვილი, სოციალური მუშაკი).

კვლევებით დასტურდება ფსიქიკური ჯანმრთელობის, კერძოდ კი ემოციური და ქცევითი დარღვევების კავშირი დელიქვენტურ ქცევასთან(Jennings W. G., 2018). ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამაც გამოავლინააღნიშნული კავშირი: *„ძალიან ხშირად მქონია ქცევითი დარღვევების მქონე მოზარდთან შეხება. მინდა ვთქვა, რომ ეს ხშირ შემთხვევაში, ნამდვილად არის მიზეზი იმისა, რომ მოზარდი ახორციელებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას“ (ნინო ჭარხალაშვილი, ფსიქოლოგი).* მოზარდების ქცევითი აშლილობა ან დელიქვენტობა დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან ან პიროვნულობასთან. მოზარდთა ნახევარს, რომელსაც დაუსვეს ქცევითი აშლილობის დიაგნოზი, უვითარდებათ ანტისოციალური პიროვნების აშლილობა(Jennings W. G., 2018). ეს კი ადასტურებს ფსიქიკური ჯანმრთელობის როლს მოზარდთა დელიქვენტურ ქცევაში, რასაც სფეროს ექსპერტებიც აღნიშნავენ:

„ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, მე ვფიქრობ, რომ ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ ადამიანის ემოციური, ფსიქოლოგიური მდგომარეობა რამდენად ჯანსაღია. რამდენად შეუძლია ემოციების მართვა. რა უნარები და ძლიერი პიროვნული რესურსები აქვს დაბრკოლებების დასაძლევად, რომ არ მიმართოს მაგალითად თვითდაზიანებას ან ნივთიერებების მოზმარებას“ (ნონა ჩაჩანიძე, სოციალური მუშაკი).

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ალკოჰოლისა და სხვა ნივთიერებების მოხმარების გავლენაზე მოზარდის ქცევაზე და რიგ სირთულეებზე, რომელიც მოხმარების შედეგია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ძლიერი დამოკიდებულების შემთხვევები ცოტაა, თუმცა ძალიან ხშირია კოლექტიური მოხმარების ფაქტები.

„ჩემი ბენეფიციარების უმეტესობა მოიხმარს თამბაქოს, არიან რეგულარული მომხმარებლები. ალკოჰოლის მოხმარება ძირითადად ხდება კოლექტიურად და ხშირ შემთხვევაში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ხდება დანაშაულის განხორციელება. ალკოჰოლი არის მიზეზი იმისა, რომ თვითკონტროლის უნარებს კარგავს და განსჯის უნარი უქვეითდება მოზარდს“ (ნათია ალიაშვილი, სოციალური მუშაკი).

აგრეთვე ძლიერ ფაქტორად აღნიშნავენ ექსპერტები ძალადობის პსხვერპლობას. მათი აზრით, მოზარდის მიერ განცდილი ძალადობა პირდაპირ აისახება მის მიერ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებაზე.

„არის ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ ახდენს გავლენას დელივენტურ ქცევაზე და არის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან. დაკავშირებული ფაქტორ ყოველთვის არის ძალადობა. ძალადობა ყოველთვის ახდენს გავლენას მოზარდის ზოგადი ფუნქციონირების ხარისხზე ყველა მიმართულებით. წამყვანია ოჯახში ძალადობა. ხშირია უგულებელყოფა, ფსიქოლოგიური ძალადობა. ასევე ხშირია ბულინგი. მაგალითად მოზარდს თუ აქვს კონფლიქტის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული, ამ დროს განცდილი ძალადობა არის საწყიდი მიზეზებიდან ერთ-ერთი“ (ნინო ბარნაბიშვილი, სოციალური მუშაკი).

„ჩვენი ბენეფიციარებიდან თითქმის ყველა არის უგულებელყოფის მსხვერპლი. მოზარდი, რომელმაც ჩაიდინა მაგალითან ძალადობრივი დანაშაული, ეს უკვე ნიშნავს, რომ მან განიცადა ძალადობა და შემდეგ გადაიტანა სხვაზე. როდესაც ბავშვზე ხდება ძალადობა, მისი ფსიქოლოგიური კეთილდღეობა დანგრეულია, უსაფრთხოების განცდა საერთოდ აღარ აქვს. შედეგად ის უფრო მოწყვლადი ხდება და დიდია მის მიერ უკვე მოზარდობაში განხორციელებული დელიქვენტური ქცევის შანსი“ (ნინო ჭარხალაშვილი, ფსიქოლოგი).

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ძალადობის ძირითადი სახე არის ბულინგი და ოჯახში ძალადობა. განცდილი ძალადობა კი, მათი თქმით, პირდაპირ ახდენს გავლენას მოზარდის დელიქვენტურ ქცევაზე.

„მშობლებს უჭირს აღიარონს, რომ მოზარდები იმიტომ ჩადიან დანაშაულს, რომ თავად იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი. აღნიშნავენ, რომ ფიზიკური დასჯა არ არის სწორი, მაგრამ არ იციან სხვაგვარად როგორ მოექცნენ აღსაზრდელს. განცდილი ძალადობა პირდაპირპროპორციულად ახდენს გავლენას დელიქვენტურ ქცევაზე. ბავშვი, რომელიც ოჯახში ხედავს, რომ დედა/მამა ძალადობენ მასზე,

გადიან ქუჩაში და ისინიც ძალადობრივ ქცევას ახორციელებენ სხვაზე" (ნათია ალიაშვილი, სოციალური მუშაკი).

კრიმინალის განვითარების თეორიები გამოყოფენ მნიშვნელოვან სოციალური დანაშაულის პატერნებს, რომელთა შორისაც ოჯახს და თანატოლებს ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ(Boardman & Saint Onge, 2005). ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ სოციალური მხარდაჭერის გარეშე, უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან მოზარდთა დელიქვენტობის. ასევე ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ გახლეჩილ ოჯახებში უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან (Ashford & Lecroy, 2008). ამის გამოხმაურებაა სწორედ სფეროს ექსპერტების პოზიციაც, კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ მოზარდის დელიქვენტური ქცევის პრევენციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შესაბამისი ოჯახური გარემოს არსებობა. მათი აზრით, ოჯახს გადამწყვეტი როლი აქვს მოზარდთა კეთილდღეობაში. ფუნქციურად გამართული ოჯახი, სადაც როლებიც თანაბრადაა გადანაწილებული, დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ქცევის ფორმირებაზე. ასევე, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დიდია ამ მხრივ ოჯახის როლი მოზარდის პიროვნულ განვითარებაში.

„ყველაზე გამორჩეული ფაქტორი არის ოჯახური გარემო, ოჯახური ურთიერთობები და ოჯახის შესაძლებლობები, რამდენად მხარდამჭერია ბავშვისთვის და რამდენად უწყობს ხელს მის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, იქნება ეს ურთიერთობები, ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება აღზრდის მოდელის გამოყენება და ა.შ. ერთეული შემთხვევა შემიძლია გავიხსენო, სადაც იყო „იდეალური ოჯახი". ხშირ შემთხვევაში ძალიან სიმპტომურია განქორწინებები, მშობლებს შორის კონფლიქტური ურთიერთობა" (ნინო ბარნაბიშვილი, სოციალური მუშაკი).

„კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების უმრავლესობა არასრულ ოჯახებში იზრდება. ბავშვისთვის არავინ არ არის ავტორიტეტი, არ ჰყავს არავინ, ვინც მას გააჩერებს კანონსაწინააღმდეგო ქცევის განხორციელებისას. მოზარდს ფაქტობრივად არავინ ჰყავს რომ აღზარდოს" (ნინო ჭარხალაშვილი, ფსიქოლოგი).

კვლევაში მონაწილე კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდებიდან 4 მათგანი ცხოვრობდა გახლეჩილ, დისფუნქციურ ოჯახში, სადაც არ ხდებოდა როლების თანაბარი

გადანაწილება. მოზარდები აღნიშნავდნენ, რომ არ სურდათ საკუთარ პრობლემებზე ოჯახში საუბარი, ეს კი დიდ ბარიერს ქმნიდა მათსა და ოჯახს შორის. ხოლო კვლევაში მონაწილე მოზარდები, რომლებიც არ იყვნენ კანონთან კონფლიქტში, 4 მათგანი ცხოვრობდა ოჯახში სადაც ორივე მშობელი იყო, ხოლო ერთი ცხოვრობდა დედასთან, თუმცა მშობლები ჯანსაღ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ, როგორც ერთმანეთთან, ისე მოზარდისადმი. მოზარდები აღნიშნავდნენ, რომ ყოველთვის ერჩივნათ პრობლემაზე ოჯახის წევრებთან საუბარი, ვიდრე მეგობრებთან. ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ ოჯახი მათთვის არის მხარდამჭერი რგოლი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ოხაში არსებული სტრუქტურა პირდაპირ მოქმედებს მოზარდის ქცევაზე.

„როგორ გარემოშიც იზრდები, შენც გიყალიბდება მსგავსი ხედვა. ქცევა დასწავლადია და რასაც ოჯახში ხედავენ იმას იმეორებენ ოჯახის გარეთაც“ (ნონა ჩაჩანიძე, სოციალური მუშაკი).

მოზარდი, გადაწყვეტილების მიღებისას, უმეტესწილად ეყრდნობა თანატოლთა დამოკიდებულებას და ცდილობს მოიქცეს ისე, რომ არ დაკარგოს სოციალური სასურველობა (Ashford & Lecroy, 2008). დიდია სამეზობლოს გავლენაც მოზარდის ფიზიკურ და სულიერ კეთილდღეობაზე (Boardman & Saint Onge, 2005). საგულისხმოა, რომ უამრავი დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია თანატოლთა ჯგუფის გავლენის შედეგად (Ashford & Lecroy, 2008). აღნიშნულს ექსპერტებიც იზიარებენ და ხაზგასმით გამოყოფენ თანატოლთა დიდ ზეგავლენას მოზარდის ქცევაზე.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ სოციალურ ურთიერთობებს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი აქვთ მოზარდის ქცევის განხორციელებაში. სამეგობრო წრე ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოზარდზე. ამ მხრივ იკვეთება მოზარდის პიროვნული მახასიათებლებიც. იმ შემთხვევაში, თუ მოზარდს არ აქვს ძლიერი იდენტობა, ან განიცდის იდენტობის კრიზისს, უფრო მარტივად ხვდება თანატოლთა გავლენის ქვეშ.

„ძალიან აქტუალურია რა ტიპის და რა ქცევის თანატოლებთან აქვს ურთიერთობა მოზარდს. ჰყავს პროსოციალური თუ ანტისოციალური სამეგობრო წრე. ასაკობრივად,

შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის გავლენებს შეიძლება გადააჭარბოს თანატოლთა გავლენამ იმდენად მნიშვნელოვანი რგოლია მოზარდობის ეტაპზე. სწორედ ამ დროს არის ძალიან მნიშვნელოვანი თვითდამკვირდების ეტაპი" (ნინო ბარნაბიშვილი, სოციალური მუშაკი).

სამეგობრო წრის გავლენას დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ ექსპერტები დელიქვენტური ქცევის განხორციელებაში. *„მოზარდები იძენენ მეგობრებს, რომლებიც ხასიათდებიან ანტისოციალური ქცევით. თავად კი არ გააჩნიათ დამცველობითი ფაქტორები, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ მათ აზრს თუ ქმედებას. ამიტომაც ძალიან დიდი გავლენა აქვს იმას, თუ როგორ წრეშია მოზარდი და როგორი ქცევის მქონე თანატოლები ჰყავს ირგვლივ" (ნონა ჩაჩანიძე, სოციალური მუშაკი).*

ექსპერტები გამოყოფენ, აგრეთვე სუიციდისა და თვითდაზიანებების შემთხვევებს და აღნიშნავენ, რომ დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებთან საკმაოდ ხშირია თვითდაზიანების შემთხვევები.

კვლევის შედეგად გამოიყო განათლების უმნიშვნელოვანესი როლი მოზარდის კეთილდღეობაზე. კერძოდ, ზოგადი განათლება, რომელსაც პიროვნების განვითარებაში დიდი ადგილი უჭირავს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კანონთან კონფლიქსტში მყოფი მოზარდების შემთხვევაში, უმეტესად საქმე აქვთ არასრულ საშუალო განათლებასთან და დაბალ აკადემიურ მოსწრებასთან.

„დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლას, სასკოლო გარემოს, რადგან უმეტეს დროს მოზარდი სკოლაში ატარებს. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც საგანმანათლებლო სწავლება, რომელსაც სკოლა აწვდის, ასევე ის აღზრდის მეთოდი და ბავშვის ყოფაქცევის ადეკვატური კონტროლი, რომელიც სკოლაში უვითარდება მოზარდს" (ნინო ბარნაბიშვილი, სოციალური მუშაკი).

„განათლებას მართლაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს მოზარდის განვითარებაში. როდესაც გაქვთ კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან ურთიერთობა, ხედავთ, რომ აბსოლუტურად არაფერი არ აინტერესებთ, შინაარსი არ აქვთ, თემა არ არსებობს, რაზეც

მისი ყურადღება შეჩერებულა. ეს კი ძალიან დიდი რისკ ფაქტორი არის“ (ნინო ჭარხალაშვილი, ფსიქოლოგი).

ეკონომიკური მდგომარეობა და სიღარიბე განხილულია დელიქვენტური ქცევის ერთ-ერთ რისკ ფაქტორად (Save the Children, 2004). სწორედ ამის მიზეზია, რომ მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან დიდი წილი ქურდობაზე მოდის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019). ამის დასტურია კვლევაში მონაწილე ექსპერტების პრაქტიკული გამოცდილებაც. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდებიდან უმეტესობა საშუალო ან ღარიბი ოჯახიდანაა, აღნიშნავენ ექსპერტები.

„ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად არღვევს ოჯახის კეთილდღეობის განცდას. თუკი ოჯახში დარღვეულია კეთილდღეობის განცდა, ის ვერ უზრუნველყოფს ბავშვის სტაბილურობას, ემოციურ სიმშვიდეს. ასეთ ოჯახში გაზრდილი მოზარდი მიდის დანაშაულზე. ვთქვათ შოკოლადს იპარავს მოზარდი. მოპარვა შესაძლოა სულაც არ იყოს იმით განპირობებული, რომ სხვა გზით ვერ მიიღებდა შოკოლადს. ეს უფრო არის პროტესტის გამოხატვა. თუმცა ეკონომიკური ფაქტორი მაინც მჭიდრო კავსირშია დანაშაულის ჩადენასთან“ (ნინო ჭარხალაშვილი, ფსიქოლოგი).

ჩატარებული კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის შემადგენელი ინდიკატორები მნიშვნელოვანი ფაქტორია დელიქვენტური ქცევის განხორციელებისას.

დასკვნა/რეკომენდაციები

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის შემადგენელ ინდიკატორებს პირდაპირი გავლენა აქვთ მოზარდის ქცევაზე, რაც განხილული სამეცნიერო ლიტერატურით მტკიცდება. კერძოდ, მოზარდთა მიერ დელიქვენტური ქცევის განხორციელებაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იდენტობის ჩამოყალიბებას, თანატოლთა ზეგავლენას, ოჯახთან ურთიერთობებს, სკოლას, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

კვლევის შედეგად გამოიყო მოზარდის ინტერესებისა და პიროვნული მახასიათებლების მნიშვნელობა ქცევაზე, იდენტობის ფორმირების გავლენა. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები პიროვნულად არ არიან განვითარებულნი, არ გააჩნიათ ინტერესები ცხოვრებაში. იდენტობის კრიზისს კი მივყავართ იქამდე, რომ მოზარდს არ შეუძლია დაიცვას საკუთარი აზრი თუ პოზიცია, არ გააჩნია საკუთარი თავის პოზიტიურად თვითაღქმის უნარი, ექცევა თანატოლთა გავლენის ქვეშ და ხდება უფრო მოწყვლადი დელიქვენტური ქცევის განხორციელების თვალსაზრისით.

ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო ოჯახის გავლენა მოზარდის ქცევაზე, რაც კვლევის შედეგადაც დადასტურდა. ოჯახის გამართული ფუნქციონირება და როლების თანაბარი გადანაწილება მოზარდს რთული ქცევის პრევენციასა თუ დაძლევაში ყველაზე კარგად ეხმარება.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებს ხშირად აქვთ თანმხლები სირთულეები, როგორიცაა დისფუნქციურობა სკოლაში, ნივთიერებების მოხმარება, ყურადღების დეფიციტი ADHD. აღნიშნული სირთულეები გამოვლინდა კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან ინტერვიუს დროსაც.

უნდა აღინიშნოს, სკოლის, განათლების დონისა და სამეგობრო წრის პირდაპირი გავლენა მოზარდის დელიქვენტურ ქცევაზე, რომელიც გამოვლინდა კვლევის შედეგად. ასევე,

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნივთიერებების მოხმარების ფაქტს, როგორც დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ განმაპირობებელ მიზეზს.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით დასტურდება, რომ მოზარდის ფსიქოლოგიური კეთილდღეობა პირდაპირპროპორციულია დელიქვენტური ქცევის პრევენციის. ეს ჩატარებული კლვევითაც დასტურდება, ექსპერტების აზრით, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფატრორები, პირველ რიგში, მოიცავს ემოციური მდგომარეობის სიჯანსაღეს, ასევე ქცევის მართვას, ზოგად ფსიქოლოგიური მდგომარეობის სიჯანსაღეს. აღნიშნული კომპონენტები კი პირდაპირ გავლენას ახდენს მოზარდის ქცევაზე.

ასევე, კვლევით დადასტურდა, რომ ეკონომიკურ კეთილდღეობას გავლენა აქვს მოზარდის დელიქვენტურ ქცევაზე, ამაზე მიუთითებს საქართველოში კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებში ქურდობის ყველაზე დიდი პროცენტული წილი სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან შედარებით. გარდა ამისა, ექსპერტები აცხადებენ, რომ მომსახურების მიმღები კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა უმეტესობა ქურდობის ფაქტზეა გასამართლებული.

მეცნიერული ლიტერატურის ანალიზით დგინდება, რომ ფსიქიკურ ჯანმრთელობას პირდაპირი გავლენა აქვს მოზარდის დელიქვენტურ ქცევაზე. ეს უკანასკნელი, ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევითაც დასტურდება ექსპერტთა ინტერვიუებზე დაყრდნობით.

რეკომენდაციის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ, პირველ რიგში, რადგანაც დელიქვენტობა დაკავშირებულია იდენტობისა და პოზიტიური თვითაღქმის ნაკლებობასთან და ეს კავშირი კვლევით დადასტურდა, პრევენციული ინტერვენცია მიმართული უნდა იყოს პიროვნული და იმ სოციალური ფაქტორებისკენ, რომელიც მოზარდების პოზიტიურ თვითაღქმას გააუმჯობესებს. საჭიროა აქცენტი გაკეთდეს მიკრო დონეზე.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მოზარდის ქცევაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ოჯახს. ამიტომაც, უდავოა, რომ დელიქვენტობის პრევენციისათვის საუკეთესო გზა არის მათი ოჯახისა

და სოციუმის სიჯანსაღე, ასევე სოციალურად და ემოციურად კმაყოფილება. იმისთვის, რომ მოვახდინოთ დელიქვენტური ქცევის პრევენცია მოზარდებში, უნდა გაძლიერდეს ოჯახის ინსტიტუტი. სახელმწიფომ აქენტი უნდა გააკეთოს ოჯახების გაძლიერებაზე. ამისთვის საჭიროა ოჯახის, როგორც ეკონომიკურად, ასევე სოციალურად გაძლიერება. მოზარდი უნდა იზრდებოდეს სტაბილურ ოჯახურ გარემოში.

ჩატარებული კვლევითა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზით დადასტურდა, რომ განათლებას დიდი როლი აქვს მოზარდის დელიქვენტურ ქცევაზე. ამიტომაც მოზარდთა დელიქვენტური ქცევის პრევენციისთვის საჭიროა გაიზარდოს მათი აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში. საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა იყოს მორგებული მოზარდზე. მასწავლებლებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია, რათა დროულად მოახდინონ რეაგირება წარმოქმნილ კრიტიკულ სიტუაციაზე, იქნება ეს მოზარდის მხრიდან საგაკვეთილო პროცესის გაცდენა თუ თანატოლებს შორის ბულინგი. კვლევით დასტურდება, აგრეთვე, რომ ძალადობის მსხვერპლობა პირდაპირპროპორციულად აისახება დელიქვენტურ ქცევაზე და რადგანაც ბულინგი მოზარდთა შორის წამყვან ადგილზეა, სკოლის პერსონალი უნდა იყოს კვალიფიცირებული, რათა მოახდინოს ძალადობის დროული გამორკვევა, რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემს პრობლემა გადაიჭრას ჩანასახშივე და არ მოხდეს ძალადობის გაღვივება.

ასევე, გამართული უნდა იყოს თემზე დაფუძნებული პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდთა სოციალიზაციის დონის გაზრდას.

გარდა ამისა, მაკრო დონეზე სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს სიღარიბის დაძლევის პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის დონის მატებას და, შედეგად, შემცირდება ეკონომიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული.

აღნიშნული რეკომენდაციები ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურისა და ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზს და საშუალებას იძლევა მოვახდინოთ მოზარდთა დელიქვენტური ქცევის პრევენცია.

გამოყენებული ლიტერატურა

ზასტროუ, ჩ., &ქრისთ-ეშმანი, ქ. (2001). *ადამიანისქცევადასოციალურიგარემო.* Thomson Learning.

თანდაშვილი, მ. (2017). *იდენტობა, იდენტიფიკაციადაიდენტიფიკაციისსახეები.*თბილისი.

საქართველოსსტატისტიკისეროვნულისამსახური. (2019). *სისხლისსამართლისსტატისტიკა.*თბილისი: საქსტატი.

შალიკაშვილი, მ., &მიქანაძე, გ. (2016). *არასრულწლოვანთამართლმსაჯულება.*თბილისი: მერიდიანი.

შატბერაშვილი, ნ. (2017). *რაარისსოციალურიკეთილდღეობა.*თბილისი.

ხუჭუა, ლ. (2018 წლის 24 02). *მოზარდობისფსიქო-სოციალურიგამოწვევები.* From რადიო24: https://www.radio24.ge/archives/12329

ASHFORD, J. B., & LECROY, C. W. (2008). *Human Behavior in the Social Environment: A Multidimensional Perspective, Fourth Edition.* Belmont: Wadsworth.

Behavioral Disorder Symptoms, Causes and Effects. (2019). Retrieved from PsychGuides: https://www.psychguides.com/guides/behavioral-disorder-symptoms-causes-and-effects/

Bericat, E. (2014). The Socioemotional Well-Being Index (SEWBI): Theoretical Framework and Empirical Operationalisation. *Social Indicators Research* , 599-626.

Boardman, J. D., & Saint Onge, J. M. (2005). Neighborhoods and Adolescent development. *Children, Youth and Environments* , 138-164.

Bruckauf, Z. (2017). *Adolescents' Mental Health: Out of the shadows.* Florence: UNICEF Office of Research – Innocenti.

Bureau of Crime Statistics and Research. (2019). *Justice*. Retrieved from NSW Government: https://www.bocsar.nsw.gov.au/Pages/bocsar_fastfact_03.aspx

Csikszentmihalyi, M. (2018, April 5). *Adolescence*. Retrieved May 31, 2018, from Encyclopædia Britannica: https://www.britannica.com/science/adolescence

Elder, R., Evans, K., & Nizette, D. (2008). *Psychiatric and Mental Health Nursing* (2nd ed.). Australia: Elsevier Australia.

Eliot, M. M. (2019). Health Services and Juvenile Delinquency. *Public Health Reports* , 572-577.

Erikson, E. H. (1968). *Identity, youth and crisis.* New York: W. W. Norton Company.

Erikson, E. H. (1994). *Identity: Youth and Crisis.* W. W. Norton.

Evans, G. W. (2016). Childhood poverty and adult psychological well-being. *Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America* , 14949-14952.

Frances, C. M., Richard, J., & Turb, M. S. (2005). *The Role of Social Contexts in Adolescence: Context Protection and Context Risk in the United States and China.* Lawrence Erlbaum Associates.

Galderisi, S., Heinz, A., Kastrup, M., Beezhold, J., & Sartorius, N. (2015). Toward a new definition of mental health. *Official Journal of the World Psychiatric Assosiation* , 231-233.

Gentry, E. (2002). *COMPASSION FATIGUE RESILIENCY – A NEW ATTITUDE.*

Grisso, T. (2019). Adolescent Offenders with Mental Disorders. *The Future of Children* , 143-164.

Guardini, R. (2001). *Die Lebensalter. Ihre ethische und pädagogische Bedeutung.* Berlin: Topos Plus.

Haynie, D. L. (2002). Friendship Networks and Delinquency: The Relative Nature of Peer Delinquency. *Journal of Quantitative Criminology* , 99-134.

Huesmann, R. L., Boxer, P., & Smith, C. (2018). Anxiety, depression, and offending in the Columbia County longitudinal study: A prospective analysis from late adolescence to middle adulthood. *Journal of Criminal Justice* .

Jennings, W. G., Fenimore, D. M., Piquero, A. R., Bird, H., & Canino, G. (2018). The linkage between mental health, delinquency, and trajectories of. *Journal of Criminal Justice* .

Lai, D. W. (1999). Violence Exposure and Mental Health of Adolescents in Small Towns: An Exploratory Study. *Canadian Journal of Public Health* , 181-185.

Land, K. C. (2010). *Child and Youth Well-Being Index (CWI).* Durham: Duke University.

Lester, H., & Glasby, J. (2006). *Mental Health policy and practice.* London: Palgrave Macmillan.

Loeber, R., & Slot, W. (2007). Serious and Violent Juvenile Delinquency: An Update. *Crime and Justice* , 503-592.

Mann, E. A., & Reynolds, A. J. (2006). Early Intervention and Juvenile Delinquency Prevention: Evidence from the ChicagoLongitudinal Study. *Social Work Research* , 153-167.

Moffitt, T. E. (1990). Juvenile Delinquency and Attention Deficit Disorder: Boys' Developmental Trajectoriesfrom Age 3 to Age 15. *Child Development* , 893-910.

Morde, M., Groholt, B., & Myhre, A. M. (2011). The impact of ADHD and conduct disorder in childhood on adult delinquency: A 30 years follow-up study using official crime records. *BMC Psychiatry* .

Nasıroğlu, S., & Semerci, B. (2017). Mental problems and sociodemographic characteristics in children driven to. *PSYCHIATRY AND CLINICAL PSYCHOPHARMACOLOGY* , 132-138.

Ottolini, D. (2016). *Violence Does Not Fall on One Roof Alone. A Baseline Survey on Violence Against Children in The Kenya Juvenile Justice System.* Nairobi: Kolbe Press.

Polizzi, D. (2011). Agnew's General Strain Theory Reconsidered: A Phenomenological Perspective. *International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology* , 1051-1071.

Relationship Between Criminal Behaviour and Mental Illness in Young Adults:Conduct Disorder, Cruelty to Animals and Young Adult Serious Violence2003*Acoustics, Speech, and Signal Processing Newsletter*

Save the Children. (2004). *Children in Conflict with the Law and the Juvenile Justice Process.* Quezon: Save the Children UK.

Snyder, H., Espiritu, R., Huizinga, H., Loeber, R., & Petechuk, D. (2003). *Prevalence and development of child delinquency.* Washington: U.S. Department of Justice.

Tengland, P.-A. (2001). *Mental Health: A Philosophical Analysis.* The Netherlands: Kluwer Academic.

Topp, C. W., Ostergaard, S. D., Sondergraad, S., & Bech, P. (2015). The WHO-5 Well-Being Index: A Synematic Review of the Literature. *Psychoter Psychoson* , 167-176.

Turner, H. A., Shattuck, A., Hamby, S., & Finkelhor, D. (2013). Community Disorder, Victimization Exposure, and Mental Health in a National Sample ofYouth. *Journal of Health and Social Behavior* , 258-275.

Underwood, L. A., & Washington, A. (2016). Mental Illness and Juvenile Offenders. *International Journal of Enviromental Research and Public Health* .

United Nations Office on Drugs and Crime. (2007). *Crime, Violence, and Development: Trends, Costs, and Policy Options in the Caribbean .* United Nations Office on Drugs and Crime.

Wilson, P., & Norris, G. (2003). Relationship Between Criminal Behaviour and Mental Illness in Young Adults:Conduct Disorder, Cruelty to Animals and Young Adult Serious Violence. *Acoustics, Speech, and Signal Processing Newsletter* .

დანართი #1 ინტერვიუს გზამკვლევი მოზარდთათვის:

მოგესალმებით.

მეგახლავართივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტის,სოციალურიმუშაობისმაგისტრანტი. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას თემაზე: „კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევა კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებში, ბავშვთა და მოზარდთა კეთილდღეობის ინდექსის მიხედვით“.პირველრიგში,უღრმესიმადლობა, კვლევაშიმონაწილეობისთვის. კვლევაში არ ფიქსირდება თქვენი პირადი მონაცემები. კვლევა არის ანონიმური.კვლევაში თქვენსმონაწილეობასძალიანდიდიროლიაქვს კვლევის მიზნის მისაღწევად. ასევე, წინასწარგაცნობებთ,რომ თქვენი თანხმობითმოხდება სიღრმისეულიინტერვიუსწარმოებისპროცესის ჩაწერა ხმისჩამწერმოწყობილობაზე. აღნიშნულიაუცილებელია, რათამონაცემთა დამუშავებისას შეცდომებიდახარვეზებითავიდან ავირიდოთ და თქვენი ინტერვიუ სრულყოფილი სახით იქნეს დამუშავებული. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

1. გამარჯობა. გთხოვთ მიამბოთ თქვენს შესახებ [ასაკი, სად სწავლობთ, თქვენი ჰობი/ინტერესები].
2. რამდენი წევრი ხართ ოჯახში?
3. როგორ დაახასიათებდით თქვენს ოჯახს? ოჯახში არსებულ მდგომარეობას? [ეკონომიკურ მდგომარეობას?]
4. როგორ აღწერდით ოჯახის წევრებთან თქვენს ურთიერთობას?
5. როგორ დაახასიათებდით თქვენი მშობლების უერთიერთობას ერთმანეთთან?
6. თქვენი აზრით, როგორ მოქმედებს ალკოჰოლი/თამბაქო მოზარდის ცხოვრებაზე?
7. თავად თუ მოიხმართ ალკოჰოლს/თამბაქოს. [რა არის ამის მიზეზი?]
8. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა აქვს რელიგიას მოზარდის ცხოვრებაზე? [რაში ეხმარება/აბრკოლებს მოზარდს?]
9. გთხოვთ აღწეროთ, როგორი ურთიერთობა გაქვთ კლასელებთან? [მასწავლებლებთან?]

10. როგორი აკადემიური მოსწრება გაქვთ?
11. როგორ ფიქრობთ, რა როლი აქვთ მეგობრებს მოზარდთა ცხოვრებაში, ზოგადად? [თქვენს ცხოვრებაში?]
12. როგორ დაახასიათებდით თქვენს ხასიათს?
13. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ურთიერთობა მეგობრებთან?

დანართი #2 ინტერვიუს გზამკვლევი ექსპერტთათვის:

1. მოგესალმებით. გთხოვთ, გვიამბოთ თქვენი სამსახურეობრივი სფეროს შესახებ?
2. თქვენი აზრით, რა ფაქტორები განსაზღვრავს მოზარდთა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას? რა როლი აქვს მათ შორის ფსიქიკურ ჯანმრთელობას?
3. თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ, ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევის რა ძირითადი სახეები გხვდებათ მოზარდებთან (მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან) მუშაობისას?
4. თქვენი აზრით, რა როლი აქვს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას მოზარდის დელიქვენტური ქცევის პრევენციისთვის?
5. თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით, ძირითადად როგორი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებიდან არიან მომსახურების მიმღები მოზარდები? [აკმაყოფილებდა თუ არა ოჯახი მოზარდის საჭიროებას ეკონომიკურად?]
6. თუ იყო დასაქმებული სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლის მშობელი/მშობლები?
7. თქვენი აზრით, რა გავლენა აქვს ალკოჰოლს/თამბაქოს/ნივთიერებებს მოზარდის ქცევაზე?
8. თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით, თუ გქონიათ შეხება მოზარდებთან, რომლებიც მოიხმარდნენ ალკოჰოლს/ნივთიერებებს?
9. თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით, თუ გქონიათ შეხება მოზარდებთან, რომლებიც მოიხმარდნენ თამბაქოს?
10. გთხოვთ, გაიხსენოთ სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებიდან იყვნენ თუ არა ძალადობის მსხვერპლი პირები? თუ კი, ძირითადად რა ტიპის ძალადობას გაიხსენებდით ასეთ შემთხვევაში?

11. თქვენი აზრით, როგორ მოქმედებს განცდილი ძალადობა მოზარდის დელიქვენტურ ქცევაზე?
12. როგორ ფიქრობთ, როგორ მოქმედებს მოზარდებზე ოჯახის სტრუქტურა (მაგ. ოჯახში როლების ტრადიციული განაწილება, ავტორიტარი „ოჯახის უფროსი“ მამა)?
13. თქვენი აზრით, როგორ აისახება მოზარდზე მშობლებს შორის ურთიერთობები?
14. თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით, როგორი სიტუაცია იყო ოჯახში კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების შემთხვევაში? იყო თუ არა გამოყოფილი ეგრედ წოდებული „ოჯახის უფროსი“?
15. თქვენი აზრით, რა როლი აქვს სოციალურ ურთიერთობებს მოზარდის ქცევაზე? [სკოლა, სამეგობრო]
16. თქვენი აზრით, რომელი ფაქტორები უწყობს ხელს მოზარდებს სუიციდისკენ? რამდენად აქტუალურია აღნიშნული საკითხი კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების შემთხვევაში?
17. თქვენი აზრით, რა როლი აქვს განათლებას მოზარდის კეთილდღეობაში?
18. თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით, განათლების რომელი დონე გხვდებათ უფრო ხშირად კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან?

დანართი #3 არასრულწლოვან დამნაშავეთა რაოდენობა

წლები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
არასრულწლოვან დამნაშავეთა საერთო -ბა.	1002	1060	1166	803	883	669	475	456	381
ბიჭები	979 98,1%	1026 96,8%	1119 95,5%	767 95,5%	853 96,6%	638 95,4%	450 94,7%	443 97,1%	365 95,8%
გოგონები	23 1,9%	34 3,2%	47 4,1%	36 4,5%	30 3,4%	31 4,6%	25 5,3%	13 2,9%	16 4,2%
14-15 წლის	323 31,4%	298 28,1%	299 25,6%	206 25,6%	226 25,6%	201 30%	129 27,2%	126 27,6%	113 29,7%
16-17 წლის	679 68,6%	762 71,9%	865 74,4%	587 74,3%	657 74,4%	468 70%	346 72,8%	330 72,4%	268 70,3%
არ მუშაობს, არ სწავლობს	602 60,1%	613 57,8%	652 55,9%	392 48,8%	398 44,8%	349 52,2%	275 57,9%	307 67,3%	288 75,6%
ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული	490 48,9%	547 51,6%	505 43,3%	336 41,8%	298 33,7%	158 23,6%	77 16,2%	69 15,1%	46 12,1%

დანართი #4 არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა

წლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მკვლელობა	5	5	21	40	31	28	40	28	17	7	6
ჯანმრ. განზრახ მძიმე დაზიანება	8	3	14	9	17	11	10	13	4	8	8
გაუპატიურება	-	1	4	1	5	1	3	1	0	2	0
ქურდობა	286	299	575	551	619	368	403	364	271	293	229
ყაჩაღობა	62	41	98	88	80	65	49	23	14	24	17
ძარცვა	23	23	74	68	108	49	32	27	26	35	36
თაღლითობა	2	1	3	35	27	12	5	12	11	4	4

დანართი #5 WHO-5 კითხვარი

	ბოლო ორი კვირის განმავლობაში:	ყოველთვის 5	ხშირად 4	უფრო ხშირად, ვიდრე იშვიათად 3	უფრო იშვიათად, ვიდრე ხშირად 2	იშვიათად 1	არასდროს 0
1	თავს ვგრძნობდი მხიარულად და კარგ განწყობაზე						
2	თავს ვგრძნობდი მშვიდად						
3	თავს ვგრძნობდი მხნედ და ენერგიულად						
4	გაღვიძებისას ვგრძნობდი თავს დასვენებულად						
5	დღის მანძილზე დაკავებული ვიყავი ჩემთვის საინტერესო საქმიანობით						

დანართი#6

IvaneJavakhishvili Tbilisi State University

GvantsaDekanoidze

Mental Health and Well-being inJuvenile Delinquents

Social Work

Masters thesis is submitted to obtain Master's Degree in Social Work

Tamar Makharadze

Associated Proffesor of
TSU faculty of social and politic sciences

Tbilisi 2019